ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

ხუთშაბათი 18 ოქტომბერი № 113 (11599) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.


# ამაოდ ველოდით... „სტალინს“

**კვლავ აარიდეს თავი დიალოგს სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოება „სტალინის“ წარმომადგენლებმა.**

**მართალია**, „სტალინის“ გარდა უნივერსიტეტში მიწვეული იყვნენ აგრარული კავშირისა და საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული პარტიის წარმომადგენლები (რომლებიც, სტალინელთა მსგავსად, არ გამოცხადდნენ), მაგრამ ძირითადად საუბარი ორგანიზაცია „სტალინს“ შეეხო, რადგანაც მისი მონაწილეობა არჩევნებში იწვევს საზოგადოების პროგრესული ნაწილის სერიოზულ აღშფოთებას. უნივერსიტეტის სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და თანამშრომლებმა თავიანთი პროტესტი უკიდურესი ფორმით — შიმშილობის აქციით გამოხატეს.

შეხვედრა არ შედგა, მაგრამ საუბარი მაინც გაიმართა. ყველა გამომსვლელი ერთსულოვანი იყო იმაში, რომ, მართალია, რამდენიმე პარტიას და საზოგადოებას საარჩევნო კანონის დარღვევით მიეცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება (მაგალითად, ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირს), მაგრამ უმთავრესი აქცენტი იმიტომ კეთდება საზოგადოება „სტალინზე“, რომ მას არა აქვს არჩევნებში მონაწილეობის არც იურიდიული და არც მორალური უფლება. ეს არის საზოგადოება, რომლის თუნდაც ერთი წევრის ყოფნა მომავალ პარლამენტში სახელს გაუტეხს ქართველ ხალხს და საქართველოს მთელი მსოფლიოს თვალში. ხაზგასმით ითქვა, რომ არც ერთი ქვეყნის პარლამენტი არ ისურვებს ურთიერთობას საქართველოს ასეთ პარლამენტთან.

მაინც რით დაიმსახურა საზოგადოება „სტალინმა“ ასეთი მასობრივი აღშფოთება, რატომ არის იგი ასეთი მიუღებელიც და საშიშიც საზოგადოებისათვის? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იგი ცდილობს სტალინიზმის იდეების აღორძინებას, რაც, ერთი შეხედვით, ძალზე მომგებიანია დღევანდელი ცარიელი დახლებისა და საზოგადოებაში შექმნილი ქაოსის პირობებში. სახელმწიფოს უკიდურესი ხელმოკლეობისა და ადმინისტრაციული უსუსურობის შემყურეთა შორის არც თუ ცოტაა სტალინური პერიოდის ეკონომიკური ალმავლობისა თუ „ყოველგვარი სიკეთის მომტანი“ მკაცრი დისციპლინის მეხოტბე. მავანის თვალში ომისშემდგომმა ფასების შემცირებამ სულ იოლად გადაწონა ომამდელი (და ომისშემდგომი) არნახული ძალადობა და მასობრივი ტერორი. ობივატელს მშვიდი და მაძღარი ცხოვრება სურს, მაგრამ „გასტრონომიულ მელანქოლიაში“ ჩაძირული იმდენს ვეღარ ჰვრეტს, რომ „ტოტალური ბოროტების ხანაში“, ისეთში, როგორიც იყო სტალინიზმის პერიოდი, ეს შეუძლებელია.

მოსახლეობის ერთი, არცთუ პატარა, ნაწილის ამგვარ განწყობას შესანიშნავად იყენებენ საზოგადოება „სტალინის“ მესვეურები, რომელთა უკან ხავსს ჩაჭიდებული ოფიციალური ხელისუფლება და კომუნისტური პარტია დგას. დაბეჯითებით ითქვა, რომ საზოგადოება „სტალინი“, აგრარული კავშირი, ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი არიან კომპარტიის მიერ ინსპირირებული მისივე სახეცვლილებანი, რომლებიც ახლაც ემსახურებიან და მომავალშიც მოემსახურებიან კომპარტიის ინტერესებს.

შეხვედრაზე მოსული ნოდარ ნათაძისა და თემურ ქორიძის წინადადებით ლონისძიების ორგანიზატორებმა — უნივერსიტეტის სტუდენტებმა, თანამშრომლებმა და კურსდამთავრებულებმა დარბაზის ერთსულოვანი მხარდაჭერით მიიღეს მიმართვა მთავრობისადმი, რათა აიკრძალოს საზოგადოება „სტალინი“ და როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია მიეცეს პასუხისგებაში. თუ ეს არ განხორციელდება, მაშინ უნივერსიტეტი იწყებს გაფიცვას და ამისკენ მოუწოდებს სხვა სასწავლებლებსაც და არა მარტო მათ.

იმ დღეს, 16 ოქტომბერს, უნდა შემდგარიყო უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც განიხილავდა „სტალინის“ აგრარული კავშირისა და სხვათა წინააღმდეგ აღძრულ სარჩელებს. უნივერსიტეტის ღონისძიების დამთავრების შემდეგ მისი ყველა მონაწილე გაემართა უმაღლესი სასამართლოს შენობისაკენ, სადაც მათ აუწყეს, რომ სარჩელების განხილვა მომდევნო დღეს მოხდებოდა. თუმცა აგრარული კავშირის ბედი უკვე გადაწყვეტილი ყოფილა, მან უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. დანარჩენ გადაწყვეტილებებს გაუწყებთ გაზეთის მომდევნო ნომერში.

**გულნარა ბაშარული,**
**რუსუდან ლეგანიძე**

# საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობაში

**გაიმართა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობის მორიგი სხდომა. გამგეობამ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩია მწერალი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ ქურდიანი.**

**გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების I ყრილობა ა. წ. 15-16 დეკემბერს.**

**განხილულ იქნა და საქართველოს უზენაეს საბჭოს პრეზიდიუმს წარედგინა დასამტკიცებლად საქართველოს საპატიო წოდების „ქართვლის დედის“ მისანიჭებლად მრავალშვილიან დედების სიები, რომლებსაც ჰყავთ ხუთი და მეტი შვილი.**

**აბაშის რაიონიდან:**

1. ეთერ ამირანის ასული ჯაიანი — სოფ. პირველი მაისი, 5 შვილის დედა;
2. ნათელა ანდროს ასული ხოშტარია — სოფ. სუჯუნა, 5 შვილის დედა;
3. ვენერა ბონდოს ასული ჭანტურია — სოფ. სუჯუნა, 9 შვილის დედა;
4. ესმა ანდროს ასული ცომაია — აბაშა, 5 შვილის დედა;
5. სვეტლანა იაკობის ასული წოწორია — სოფ. ზანათი, 5 შვილის დედა;
6. ინეზა აკაკის ასული შათირიშვილი — სოფ. პირველი მაისი, 9 შვილის დედა;
7. იზოლდა შიოს ასული შავაძე — სოფ. კეთილარი, 6 შვილის დედა;
8. ნაზი გრიგოლის ასული ქიმმარეიშვილი — სოფ. პირველი მაისი, 5 შვილის დედა;
9. დარეჯან ბორისის ასული ქვილითაია — სოფ. ნაესაკოვო, 5 შვილის დედა;
10. მაყვალა შალვას ასული ფირცხალავა — სოფ. ონტოფო, 9 შვილის დედა;
11. ნათელა აბრაამის ასული ფუტკარაძე — სოფ. წყემი, 5 შვილის დედა;
12. ნათელა სადეთინის ასული ფუტკარაძე — სოფ. წყემი, 5 შვილის დედა;
13 მარინა შაქროს ასული ფირცხალაშვილი-შალამბერიძე — სოფ. აბაშა, 5 შვილის დედა;
14. დარეჯან გალაქტიონის ასული ფარულავა — სოფ. მაიდანი, 5 შვილის დედა;
15. მზია შოთას ასული უჩანეიშვილი — სოფ. წყემი, 5 შვილის დედა;
16. მადონა ნიკოლოზის ასული ქლენტი — სოფ. ტყვირი, 6 შვილის დედა;
17. ლიანა გიორგის ასული ჯალაღონია — სოფ. წყემი, 5 შვილის დედა;
18. ჟანანა ლუდოვიკოს ასული ნაკაშიძე — სოფ. ნაესაკოვო, 5 შვილის დედა;
19. მზია იროდიონის ასული ნადარეიშვილი — სოფ. ონტოფო, 10 შვილის დედა;
20. ლიანა ისიდორეს ასული მიმინოშვილი — სოფ. ნაესაკოვო, 5 შვილის დედა;
21. ნათელა გრიგოლის ასული მალნარაძე — სოფ. სუჯუნა, 10 შვილის დედა;
22. ნელი გიორგის ასული მაკალათია — სოფ. ზანათი, 5 შვილის დედა;
23. ლია ბორისის ასული მალანია — სოფ. ზანათი, 5 შვილის დედა;
24. ნანი ლევანის ასული ლაბარტყავა — სოფ. სუჯუნა, 7 შვილის დედა;
25. მელოდი შოთას ასული ლაბარტყავა—სოფ. მარანი, 8 შვილის დედა;
26. ნელი გიორგის ასული კილასონია — სოფ. აბაშა, 6 შვილის დედა;
27. ინეზა ვლადიმერის ასული კუჭუხიძე — სოფ. ნაესაკოვო, 6 შვილის დედა;
28. ნაზი ზურაბის ასული კაჭარავა — სოფ. აბაშა, 5 შვილის დედა;
29. ჯულიეტა პოლიკარპეს ასული ვერხვიაშვილი — აბაშა, 5 შვილის დედა;
30. დალი იაშას ასული გულბანი — სოფ. მარანი, 6 შვილის დედა;
31. მარინა მირიანის ასული გვაზავა — სოფ. ნორიო, 6 შვილის დედა;
32. ჯილდა შოთას ასული გუგუშვილი — სოფ. კეთილარი, 6 შვილის დედა;
33. ლეილა იოსების ასული ბოკუჩავა — აბაშა, 10 შვილის დედა;
34. ლია შოთას ასული ბარკალაია — სოფ. ზანათი, 5 შვილის დედა;
35. ნათელა იონას ასული ასათიანი — სოფ. პირველი მაისი 6 შვილის დედა;
36. ლუბა ალექსანდრეს ასული ასათიანი — სოფ. სეფიეთი, 6 შვილის დედა;
37. დარეჯან ალიოშას ასული ბახია — აბაშა, 5 შვილის დედა;

**ჩოხატაურის რაიონიდან:**

1. მარიამ ახმედის ასული ირემაძე — სოფ. ბუკნარი, 6 შვილის დედა;
2. ქეთევან კოტეს ასული სვანიშვილი — სოფ. ხიდისთავი, 5 შვილის დედა;
3. მაყვალა მუხამედის ასული მგელაძე — სოფ. ჩაისუბანი, 5 შვილის დედა;
4. ნათელა ნოდარის ასული ყაჭეიშვილი — სოფ. შუაგახახლება, 5 შვილის დედა;
5. ქუქუნა ახმედის ასული ქამადაძე — სოფ. ბუკნარი, 5 შვილის დედა;
6. დალი მელენტის ასული ახალაძე — სოფ. ნაკადული, 5 შვილის დედა;
7. ლეილა სულეიმანის ასული ჯიბლაძე — სოფ .შუაგანახლება, 5 შვილის დედა;
8. ნანული გიორგის ასული ოჩხრიკიძე — სოფ. დაბლაციხე, 8 შვილის დედა;

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების გამგეობა მოგმართავთ „ქართვლის დედის“ საპატიო წოდებაზე წარსადგენ მრავალშვილიან დედებს!

დღემდე არსებული მრავალშვილიან დედათა სიები შეიძლება არ იყოს სრული, აქედან გამომდინარე გთხოვთ მიბრძანდეთ ადგილობრივ საქალაქო და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებში, რათა აღმოუჩინოთ დახმარება სიების სრულყოფაში.

გაუგებრობის შემთხვევაში მიმართეთ დემოგრაფიული საზოგადოების ადგილობრივ რაიონულ ორგანიზაციებს.

# 13—სატანის რიცხვია!

ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, სადამ ჰუსეინის აგრესიის დროისათვის მიღებული იყო 665 რეზოლუცია, დღიდან მისი დაარსებისა. სპარსეთის ყურეში მომხდარი მოვლენების გლობალურ მსოფლიო კონფლიქტებში გადაზრდის შიშით, მართლმორწმუნენი და ასტროლოგები დაბეჯითებით მოითხოვდნენ არ მიეღოთ 666-ე დადგენილება და პირდაპირ 667-ზე გადასულიყვნენ. რად ეწინააღმდეგებოდნენ ახალი გადაწყვეტილების რიგითი ნომრით დაკანონებას? საქმე იმაში გახლავთ, რომ 666 უბედურების მომტანი საიდუმლო რიცხვია, რომელიც იოანეს „აპოკალიფსშია“ მითითებული.

არც ჩვენ, ქართველებს, გვაწყენდა სიფრთხილე ეშმაკისეულ რიცხვებთან დამოკიდებულებაში, როცა ბედის სასწორზე ძევს სამშობლოს მომავლის საკითხი. მას შემდეგ, რაც „აგრარული კავშირი“ ჩამოსცილდა უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეთა სიას, პარტიათა და საზოგადოებათა ბლოკებისა და ინდივიდუალურ წარმომადგენლობათა რაოდენობა აღმოჩნდა 13. იმისთვის, რათა სატანური — „13“ რიცხვი უბედურების მომტანად არ დაექვებოს ახალ პარლამენტს, კანდიდატთა სიიდან გაძევებულ უნდა იქნეს სატანის (როგორც ამას გვამცნობს იოანეს „აპოკალიფსის XIII თავი) საზოგადოება „სტალინი“. ვთქვათ და სამართლებრივი წესებით ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ამ საზოგადოებასთან ახლო მდგომმა რომელიმე პარტიამ (მაგალითად, კომუნისტურმა ან სოციალ-დემოკრატიულმა), თუ მათ მართლა სიკეთე სურთ ქართველი ერისათვის, თავი უნდა გასწირონ და უარი თქვან უზენაესი საბჭოს არჩევნებში კენჭისყრაზე.

**ზურაბ ახკანელი**
**გივი ტიბანელი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

## თბილისის „დინამოს“ სტადიონისათვის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სახელის მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დააკმაყოფილა საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და „დინამოს“ სტადიონის სპორტკომპლექსის კოლექტივის შუამდგომლობა და დაადგინა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის სახელის უკვდავსაყოფად თბილისის „დინამოს“ სტადიონს მიეკუთვნოს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სახელი.

(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადება, ქრონიკა, ინფორმაცია

**შაბათს,** 20 ოქტომბერს გაიმართება საქართველოს დემოკრატიული პარტიის მორიგი პლენარული სხდომა. პარტიის ყველა მუდმივი წევრი ვალდებულია გამოცხადდეს დილის 10 საათზე პარტიის შტაბბინაში.

**სდპ მთავარი კომიტეტი.**

●

წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის სახლმუზეუმი, შემოდგომის სეზონთან დაკავშირებით, 20 ოქტომბრიდან, დილის 10 საათის ნაცვლად, მუშაობას იწყებს დილის 9 საათზე და იმუშავებს საღამოს 17 საათამდე.

●

„მერაბ კოსტავას სახელობის, საქართველოს საადგილმამულო მოსახლეობის განსახლების და დახმარების ფონდი" გუდაუთის რაიონში მრავალშვილიანი და ხელმოკლე ოჯახებისათვის ყიდულობს სახლებს მიმდინარე წლის აპრილის თვიდან. ამ ხნის მანძილზე შესყიდულია 35 საცხოვრებელი სახლი თავის საკარმიდამო ნაკვეთით. 3 სახლი შევისყიდეთ აგრეთვე აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც სასწრაფოდ საჭიროებდნენ დახმარებას (მიუხედავად იმისა, რომ აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები არიდებენ თავს ფონდის ანგარიშზე ფულის გადარიცხვას). გუდაუთის რაიონში საბინაო პრობლემა ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა სოციალურ პრობლემებს შორის. ბევრი ქართული ოჯახი წლობით ელოდება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. ბევრი ახალგაზრდა თავს იკავებს დაოჯახებისაგან, მხოლოდ იმიტომ, რომ არ გააჩნია საკუთარი ჭერი. საადგილმამულო ფონდი კი საბჭოთა ბიუროკრატიული აპარატისაგან განსხვავებით ოპერატიულად, მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ პირობებში წყვეტს ამ პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ სახლების შესყიდვა წარმოებს რაიონის ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რაც არ იწვევს მოსახლეობის მექანიკურ ზრდას, სახლების გაფორმებისას წინააღმდეგობას წავაწყდით, როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისევე აფხაზი მოსახლეობის მხრიდან. ჯერჯერობით არც ერთი სახლი, რაც შეისყიდა ფონდმა, გაფორმებული არ არის. გუდაუთის რაიონის ქართველი მოსახლეობა მოკლებულია ელემენტარულ კონსტიტუციურ უფლებას. ადგილობრივი ხელისუფლების და სამართალდამცავი ორგანოების წაყრუებით, იმ პირებს, ვინც შეიძინა საცხოვრებელი სახლი, აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები უწყობენ შანტაჟს, უბრძანებენ, დასტოვონ სახლი და დაუბრუნონ იგი ყოფილ პატრონს. არ წარმოებს იმ პირების ამოწერა ჩაწერის ადგილიდან, ვინც მიჰყიდა სახლი ფონდის წარმომადგენლებს, რითაც აიძულებენ დაიბრუნონ სახლი. ხალხი სრულიად უიმედოდაა და დაუცველი. ყოველდღიური შანტაჟი, ჩაგვრა, რესპუბლიკური, ავტონომიური და ადგილობრივი ხელისუფლების სრული უნიათობა და უმოქმედობა, ზოგჯერ კი ფარული ხელშეწყობა ნაციონალური დისკრიმინაციისა, აღმაშფოთებელია. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ყოველივე ის, რაც ხდება გუდაუთის რაიონში, მიმართულია ორი მოძმე ერის გასათიშად, არსებული უფსკრულის გასაღრმავებლად. საჭიროა კი მოხდეს პირიქით. არიან აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები, ვისაც სურს შეისყიდოს სახლები ფონდის დახმარებით. ჩვენ გავაგრძელებთ სახლების შესყიდვას, როგორც ქართველი, ასევე აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს გათიშულობის მოსპობას.

**ამირან მაისურაძე**
**მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდის, გუდაუთის რაიონის კომისიის თავმჯდომარე.**

●

ყველასათვის ცნობილია, რომ სოფელი დიღომი ერთ დროს უკიდეგანო მამულების პატრონი იყო და თბილისის მასაზრდოებელ მთავარ არტერიას წარმოადგენდა. ნამდვილი სოფელი გახლდათ, რადგან ჰქონდა მიწა და ჰყავდა გლეხი, მაგრამ გაჩნდა უთავო, ყოვლად გაუაზრებელი, მაფიის ინტერესებიდან გამომდინარე დადგენილებები და მითითებები და კანონის სახელით დაიწყო სოფლის გაყიდვა, გასხვისება და დარბევა. კანონის სახელით გაშენდა დიღმის მიწებზე ქალაქის საცხოვრებელი მასივები, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, თავისი სასწავლო საცდელი ნაკვეთებით, ქალაქისათვის ორი უზარმაზარი სასაფლაო და სხვა უამრავი დაწესებულება და ორგანიზაცია, რომლებიც შიგ სოფელში გაბატონდნენ, ბოლოს იგივე კანონიერი დადგენილებებით გაიწირა სოფლის მიწების უკანასკნელი მარაგი, უნამუსოდ გაიყო ორად და ერთ ნაწილზე დაიწყო ქალაქისათვის საცხოვრებელი რაიონის „დიდი დიღმის" მშენებლობა, ხოლო მეორეზე ქალაქისათვის აგარაკების, ე. წ. კოლექტიური მებაღეობის გაცემა. თავდაპირველად „დიდი დიღმის" მშენებლობისათვის ქალაქმა სოფელს მოსთხოვა 150 ჰა, ესეც სადავო იყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ყველას დაუკითხავად 150-ს შუაში ჩაემატა ნოლი და გადაიქცა 1050 ჰექტარად და ამ ერთი შეხედვით მარტივმა ჩამატებამ დასაბამი მისცა შიგ თბილისში ქუთაისის ტოლი ქალაქის მშენებლობას, გაუთვალისწინებლად საზოგადოებრივი აზრისა.

კანონის სახელით გაუვლეს საზღვრების წითელი ზოლი დიღმელ კაცს თავის ეზოზე ისე, რომ სოფლის, ორივე მამაპაპური სასაფლაოც კი სოფლის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა. დატოვეს დიღმელი კაცი, აუტანლად მძიმე დემოგრაფიულ პირობებში, რომელსაც 30 წელზე მეტია საკარმიდამო მიწაც არ ღირსებია, მეტად მჭიდროდ დასახლებული და ფაქტიურად ქალაქელობისათვის განწირული.

მერე, როდესაც სოფელმა უკანასკნელად გაიბრძოლა და მოითხოვა თავისი მიწებიდან ის, რაც ჯერ არ იყო ქალაქისაგან ათვისებული, იბრძოლა და დაამტკიცა, რომ ეს იყო ბარბაროსული კანონების და დადგენილებების შედეგი, ყველამ ერთად წაიშინა თავში ხელი, ვინც ამ დადგენილებებით დიდი გულით მოქმედებდა და ყველამ აღიარა მათი გამანადგურებელი ბოროტება და დანაშაული, თუმცა სხვადასხვა გზით მაინც გაფთრებულნი იბრძოდნენ თითოეული გოჯი მიწისათვის.

აი როგორი სამართლიანი კანონები და დადგენილებები არსებობს, ბატონებო!

სოფელმა დიდი და მძიმე ბრძოლით დაიბრუნა მიწის გარკვეული ნაწილი და მის უკანასკნელ იმედს სურს მეთვალყურედ ისეთი ხალხი მიუჩინოს, ვინც იბრძოდა ამ მიწების დაბრუნებაზე და აგრერიგად არავის დაუთმობს. და არა ისინი, ვინც ჰყიდდა და ანიავებდა მას. ამიტომ მიმდინარე წლის 17 სექტემბერს სოფელ დიღომში ჩატარდა სოფლის ყრილობა, ყრილობამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გადაირჩია სოფლის საბჭოს თავმჯდომარე დ. გეგელიშვილი და მეურნეობის დირექტორი კ. თეთრაშვილი და ასევე ერთხმად აირჩია ახალი თავმჯდომარე ნ. ლასურაშვილი და მეურნეობის დირექტორი ი. ხოსიტაშვილი. ყრილობის გადაწყვეტილებას ხელისმოწერით ეთანხმება სასოფლო საბჭოს დეპუტატები (75-დან 54) და მოსახლეობის 2500 კაცი.

ყრილობის მიერ არჩეულები ღირსეულები არიან, მაგრამ ზუსტად ეს არ აწყობთ დიღმის მიწებზე თვალდადგმულებს და ამიტომ გვიმართავენ ბინძურ ომს. იმავე კანონების საშუალებით გვედავებიან, რომ სოფელს, მის ყრილობას, მოსახლეობის ხელმოწერებს საერთოდ არ ჰქონია აზრი და უფლება სოფლის ბედი გადაწყვიტონ, რომ ეს უფლება მაინცდამაინც იმ დეპუტატებს და იმ მეურნეობის 100 მუშაკს აქვთ, რომლებიც გაუკუღმართებული ინტერესების ქვეშ არიან მოქცეულნი. მეურნეობის თანამშრომლების რიცხვი სოფლის მოსახლეობის 2%-მდეა და გამოდის, რომ მთელმა სოფელმა თავისი მიწის ბედ-იღბალი უნდა დაუქვემდებაროს იმ უმცირესობას, რომელსაც სხვადასხვა გზებით იოლად მართავს რაიონის ხელმძღვანელობა. თავადაც კარგად უწყის, დღეს ჩვენი მოწინააღმდეგე ხვალ სოროში შეძვრება და იქიდან დაიწყებს თავის მართლებას და სხვაზე გადაბრალებას, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია დღეს როგორმე თავისი გაიტანონ, ამაში კი სოფლის გადაწყვეტილება აშკარად ხელს უშლით.

მიმდინარე წლის 17 სექტემბრიდან დღემდე სოფელ დიღომში მიმდინარეობს საპროტესტო აქცია, პიკეტირებულია სასოფლო საბჭო და მეურნეობის დირექციის შენობები, პიკეტი არ მოიხსნება მანამ სანამ არ აღსრულდება ხალხის ნება.

ჩვენ ბოლომდე დავიცავთ სოფლის ინტერესებს; ჩვენი ბრძოლა მტკიცეა და სამართლიანი.

მოვითხოვთ:

1. აღსრულდეს 1990 წლის 17 სექტემბრის სოფ. დიღმის ყრილობის გადაწყვეტილება. 2. მცხეთის რაიონის ხელმძღვანელობას ჩვენ უკვე რამდენიმეჯერ მივეცით წინადადება, თუ მათ რაიმე პრეტენზია ჰქონდათ ჩვენს მიერ ჩატარებულ ყრილობაზე, რომელსაც თავადაც ესწრებოდნენ, მაშინ მოეწვიათ ახალი ყრილობა დეპუტატებთან ერთად. ორჯერ დაითქვა ვადაც 26 სექტემბერი და 7 ოქტომბერი, მაგრამ ახალი ყრილობა არ შესდგა, რადგან ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ახალი ყრილობის მოთხოვნა დაემთხვეოდა უკვე ჩატარებულს და ეს კი მათ ინტერესებს არ შეესაბამება, ამიტომ მოვითხოვთ ძალაში დარჩეს უკვე ჩატარებული 17 სექტემბრის ყრილობის გადაწყვეტილება. 3. ახლოვდება უზენაესი საბჭოს არჩევნები, რომელიც ალბათ მეტ-ნაკლებად ბოლოს მოუღებს იმ კანონებს, რომლის სახელითაც დღეს გვებრძვიან. ჩვენ არ გვაწყობს ამ არჩევნების ჩაშლა და აქტიურად უნდა ვიბრძოლოთ ერის ღირსეული კაცებისათვის. ამიტომ მოვითხოვთ საკითხის დროულად გადაწყვეტას და არჩევნების კამპანიისათვის ნორმალური პირობების შექმნას.

ჩვენი საპროტესტო აქციის მოთხოვნებს გაეცნო და მხარს გვიჭერს სხვადასხვა საზოგადოებრივი მოძრაობები და პარტიები.

08.10.90 დიღომი

საპროტესტო აქციის მონაწილეთა სახელით: **ლალი ჯღუნიაშვილი, ნოდარ დახურაშვილი, გიორგი ლასურაშვილი, გიორგი ფიროზაშვილი, მამუკა კოტორაშვილი, ნოდარ ფირიაშვილი, ალიკ იარალიშვილი, მიხეილ ყანადაშვილი, მათიკო ჟამუტაშვილი.**

სოფელ დიღმის მცხოვრებთა საპროტესტო აქციის მოთხოვნას იზიარებენ და მხარს უჭერენ საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე **ნოდარ ნათაძე**, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარე **ირაკლი შენგელაია**, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე **მიხეილ ნანეიშვილი**, „დს"-ის თავმჯდომარე **რევაზ შავიშვილი**, „მრგვალი მაგიდის" კომისიის წევრები — **გურამ პეტრიაშვილი, ავთო იმნაძე, ლადო ცოფურაშვილი.**

## ქართული საინფორმაციო ცენტრი „იბერია"

# „დს—ინფორმი" გვატყობინებს

**ბაქო.** 6 ოქტომბერს შედგა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც მიიღეს „მიმართვა დემოკრატიული სახელმწიფოების პარლამენტების, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, ქვეყნის და მსოფლიოს ყველა დემოკრატიული ძალისადმი". მასში ნათქვამია, რომ აზერბაიჯანში, ანტიდემოკრატიული ძალების დაწოლით მიიღეს ასევე ანტიდემოკრატიული კანონი არჩევნების შესახებ (1990 წლის 26 ივნისი). საარჩევნო კამპანიის დროს პარტოკრატიამ ყოველმხრივ დაარღვია კანონი არჩევნების შესახებ. ამის დასტურია ამომრჩევლებისა და დეპუტატობის კანდიდატებისაგან შემოსული ათასზე მეტი ოფიციალური განცხადება და საჩივარი.

აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა მოუწოდა, არ ცნონ 30 სექტემბრის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივ საბჭოებში არჩეული დეპუტატები. მომავალში აზერბაიჯანის სახალხო ფრონტს გადაწყვეტილი აქვს მიაღწიოს შემდეგს:

1. გააუქმოს 30 სექტემბრის არჩევნების შედეგები, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა დარღვეული კანონი საარჩევნო ოლქებში.

2. მიიზიდოს [illegible] არჩევნების შესახებ ახალი კანონის შესაქმნელად.

3. ჩაატაროს არჩევნები დემოკრატიული კანონებით.

●

**მოსკოვი.** 9 ოქტომბერს საბჭოს მოედანზე უნდა ჩატარებულიყო კიევში 2 ოქტომბერს მომხდარი ტრაგიკული მოვლენებისადმი მიძღვნილი პიკეტი. პიკეტის მონაწილეებმა, დემოკრატიული კავშირის წევრებმა, მოულოდნელად შეცვალეს მისი ჩატარების ადგილი და წითელ მოედანზე გამოჩნდნენ პლაკატებით: „კიევში გამოიყენეს ხელჯოხები, გაზები, ადამიანებს წამლავდნენ, გუდავდნენ, წიხლებით სცემდნენ; ბორდიურებიდან ყრიდნენ, 90 წლის ქალს თავის ქალა ჩაუმსხვრიეს. 2 ოქტომბერს განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ ყველას, ვინც უკრაინის უმაღლესი საბჭოს შენობას მიუახლოვდა. მხეცურად სცემდნენ ქალებს, მოხუცებს, ვეტერანებს და ინვალიდებს. დემოკრატიული კავშირი მოითხოვს გამოძიებას და სამხედროების და სხვა დამნაშავეთა დასჯას".

●

**მოსკოვი.** სასტუმრო „ინტურისტის" კიბეებზე ჩატარდა პრესკონფერენცია ლიბერტარიანული პარტიის ლიდერი ევგენია დებრიანსკაიასთან, რომელიც პროსტიტუციის დამცველად გამოდის. აქ მოსულ რამდენიმე ათეულ ჟურნალისტს და მცირერიცხოვანი სეარის მოყვარულთ თავზე გადააყარეს ასობით ფურცელი და პრეზერვატივი. თავისი თანაშემწეების დახმარებით დებრიანსკაიამ გაშალა უშველებელი პლაკატები: 1. „წყალქვეშა ნავი -5000000000 პრეზერვატივს" და „სკკპ წევრებს — სექსუალური ბლოკადა!" მილიციის მაიორი, რომელიც სასტუმროს კიბეებიდან ერეკებოდა შეკრებილთ, ალერსით მიმართავდა დებრიანსკაიას: „ევგენია, თქვენი დრო ამოიწურა. ევგენია, დაამთავრეთ". ევგენიამ მიტინგი ტროტუარზე განაგრძო და 20 წუთის შემდეგ კორესპონდენტებით გარშემორტყმული სასტუმრო „მეტროპოლის" კუთხეში თვალს მიეფარა.

●

**ფსკოვი.** 7 ოქტომბერს ჯონ ლენონის დაბადების 50 წლისთავის დღეს ახალგაზრდობის მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მოძრაობის ინიციატივით პუშკინის ქუჩაზე, კაფესთან, რომელსაც არაოფიციალურად „ბეირუთი" ჰქვია, (ფსკოველი არაფორმალების თავშეყრის ადგილას) დადგეს სტენდები, რომლებზეც პაციფისტური და არმიის საწინააღმდეგო შინაარსის ფურცლები გამოაკრეს. იქვე გამოჰკიდეს პლაკატი: „ლენინის ქუჩას დავარქვათ ლენონის ქუჩა — მშვიდობისა და თავისუფლების იდეების მქადაგებელი მეტად იმსახურებს ქუჩას მისი სახელი ერქვას, ვიდრე კლასობრივი იდეოლოგიისა და დანაშაულებრივი სისტემის შემქმნელი.

●

**მოსკოვი.** 11 ოქტომბერს სსრკ უმაღლეს საბჭოში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბ. ი. ოლეინიკის თავმჯდომარეობით შედგა რიგ საზოგადოებრივ პარტიებთან, ორგანიზაციებისა და მოძრაობების წარმომადგენლებთან შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ რუსეთის სახალხო ფრონტის, მემორიალის, „პამიატის", კომუნარების კავშირის, დემოკრატიული კავშირისა და სხვა, სულ 20-მდე პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებმაც საბჭოთა კავშირის მომავალსა და ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების თაობაზე გაუზიარეს ერთმანეთს აზრი.

შესავალ სიტყვაში ოლეინიკმა ხაზი გაუსვა საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევის აუცილებლობას, რათა ამ საკითხმა გაცხოველებული კამათი და კონფლიქტები არ გამოიწვიოს სხვადასხვა სოციალურ და საზოგადოებრივ ჯგუფებში. ორატორთა უმეტესობა, კერძოდ — რუსეთის სახალხო ფრონტის, „პამიატის", რუსეთის მონარქისტთა პარტიის, პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტული შრომის პარტიის წარმომადგენლები გამოვიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და „ეროვნებათა თვითგამორკვევის სატანისტური ლოზუნგის" წინააღმდეგ. დისონანსად გაისმა დემოკრატიული კავშირისა და „მემორიალის" წარმომადგენელთა გამოსვლები, რომლებიც გამოვიდნენ უკანასკნელი კოლონიური იმპერიის საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის აუცილებლობის, დამოუკიდებელი სახელმწიფოების და; ამ დამოუკიდებელი სახელმწიფოების კონფედერაციის შექმნის მხოლოდ მათი სურვილის შემთხვევაში, მოთხოვნებით.

●

**მოსკოვი.** 13 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პირდაპირ ჩატარდა „პამიატის" პიკეტი. ლოზუნგები ასეთი იყო: „გაუმარჯოს არაბულ ერთიანობას სიონიზმის წინააღმდეგ!" „სიონიზმი XX საუკუნის შავი ჭირია!" „ხელები შორს ერაყისაგან!" „ერაყელო ხალხო, რუსეთის პატრიოტები თქვენს გვერდით არიან!" პიკეტის მონაწილეთაგან ბევრს სადამ ჰუსეინის სურათები ეჭირა. მიტინგზე გავრცელებულ ფურცლებზე ეწერა: „ავანტიურისტ-დემოკრატების ბანდა კვლავ ცდილობს რუსეთის უბედურებისაკენ შებრუნებას. იმისათვის, რომ თავი აარიდონ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს დანგრევის გამო და ხალხის ყურადღება შინაურ პრობლემებს მოსწყვიტონ, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები ფარულად შეეკრნენ ამერიკასა და ისრაელს და სპარსეთის ყურეში საკუთარი ძალების დაგროვება დაიწყეს. ოკეანისგაღმელ მილიონერებს დახმარების ხელი უმალ გაუწოდეს საბჭოთა მილიარდელებმა, რომლებსაც სურთ რუსეთის ხალხების ახალ, ავღანეთის ომის მსგავს ავანტიურაში ჩათრევა.

**ინფორმაციები მოამზადა პაატა გაჯილოშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაცხადებთ პროტესტს

ამჟამინდელ მეტად რთულ პოლიტიკურ-სოციალურ ვითარებაში, როდესაც ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი მეტად არასახარბიელო დემოგრაფიული მაჩვენებლების გაუმჯობესებას; კლებულობს ქართველი ხალხის ბუნებრივი ნამატი და შობადობა. რიგ რეგიონებში მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფულია...

ცხადია, შექმნილი კრიზისული მდგომარეობის თავიდან აცილებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სწორ ორგანიზაციას, ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვას, მსოფლიო მოთხოვნათა შესაბამისი შენობებით უზრუნველყოფას.

ამ მხრივ რესპუბლიკას გარკვეული მიღწევები აქვს, მაგრამ საქართველოს ბავშვთა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მოთავე დაწესებულება — პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დღეს მეტად სავალალო მდგომარეობაშია. იგი მოთავსებულია ძველ, ამორტიზებულ, ავარიულ, ყოფილ საცხოვრებელ სახლში, სადაც ერთ ავადმყოფზე ნაცვლად 8 კვადრატული მეტრი ფართისა, 1,8 კვადრატული მეტრი მოდის.

აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს, ფართის სიმცირის გამო ბევრი განყოფილება და ლაბორატორია დედაქალაქის სხვადასხვა ნაწილშია განლაგებული, რაც კიდევ უფრო ართულებს მუშაობას.

ვფიქრობთ, დაუშვებელია ის ფაქტი, რომ პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკას მხოლოდ 75 საწოლი აქვს ავადმყოფი ბავშვებისათვის. ამის გარდა გათვალისწინებულია ახალი ლაბორატორიებისა და განყოფილებების გახსნა, რაც აუცილებელია მომავალი თაობის ჯანმრთელობის განსამტკიცებლად და მაღალი დონის მეცნიერული პროდუქციის შესაქმნელად. არადა დღევანდელ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პირობებში ამ დიდი ამოცანების განხორციელება შეუძლებელია.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკამ საუკეთესო ბაზები ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს გადასცა. ჩვენც არაერთხელ მივმართეთ თხოვნით რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რათა ინსტიტუტისთვისაც გამოეყო თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერი შენობა. გვესტუმრა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე და უშუალოდ დარწმუნდა ინსტიტუტის მატერიალური ბაზის სავალალო მდგომარეობაში.

მალე ამის შემდეგ ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი დიდი კმაყოფილებით შეხვდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 14 თებერვლის (ოქმი № 5) დადგენილებას, რომლის საფუძველზედაც პედიატრიის ინსტიტუტს გადაეცა თბილისის მე-7 კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე მშენებარე კორპუსები, რომელიც ჩვენს თხოვნაში არ ყოფილა გათვალისწინებული.

მთავრობის დადგენილებით ქალაქის აღმასკომს ევალებოდა დასახელებული კორპუსების ბალანსზე გადაცემა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსათვის. მიუხედავად ჩვენი მრავალჯერადი შეხსენებისა და თხოვნისა, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს ყურად არ უღია მთავრობის დადგენილება.

მოხდა პირიქით. ყოვლად გაუმართლებელი ფაქტი: საქალაქო საბჭოს აღმასკომის არასაცხოვრებელი ფართობის გამანაწილებელი კომისიის (20.09.1990, ოქმი № 8, პუნქტი № 10) დადგენილებით, ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, ინსტიტუტს უარი ეთქვა მე-7 საავადმყოფოს ტერიტორიაზე მშენებარე კორპუსების გადაცემაზე.

ერთ წელზე მეტი ხნის ლოდინი კურიოზული დადგენილებით დამთავრდა. პედიატრიის ინსტიტუტის მთელი კოლექტივი აღშფოთებულია მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებისადმი ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით. ინსტიტუტის თანამშრომლებს მიგვაჩნია, რომ ეს არის რესპუბლიკის მთელი პედიატრიული სამსახურის აბუჩად აგდება, მომავალი თაობის ბედის უგულვებელყოფა და ეროვნული ინტერესების შელახვა.

პედიატრიის ინსტიტუტის მთელი კოლექტივი, რესპუბლიკის პედიატრები მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ და პრინციპულად მოვითხოვთ მთავრობის დადგენილების უმოკლეს პერიოდში შესრულებას. საქართველოს ბავშვთა მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მოვითხოვთ ამა წლის 31 ოქტომბრამდე განხორციელდეს ჩვენი ინსტიტუტისათვის შესაბამისი შენობის გადაცემა; წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ზომებს, თვით მუშაობის შეწყვეტამდე, რაზედაც მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს ხელმძღვანელობას დაეკისრება.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომითი კოლექტივი:
**თამაზ ჭურაძე,**
**რამაზ ღულაძე,**
**ლუდა ლომია,**
**თამარ ეგნატაშვილი,**
**თამაზ წყაროველი...**
**სულ 85 ხელმოწერა.**

## ხელმოწერა—91

# ყველა თავის თავს ირჩევს

**ერთ-ერთი პირველი, ვინც შეიგრძნო ბაზრის მკაცრი კანონები, პრესა აღმოჩნდა. საშუალოდ თითქმის ერთიორად გაძვირდა გაზეთები და ჟურნალები, გაჩნდა ახალი, არცთუ იაფი გამოცემები. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, იწყება კონკურენციული ბრძოლა მკითხველისათვის. ახლა ხომ უკვე აღარ მოქმედებს რაიკომებსა და საქალაქო კომიტეტებში „კეთილი ძიების" მიერ უზრუნველყოფილი ხელმოწერის სისტემა. ეს კი ბეჭდვითი პროდუქციის გაძვირებასთან ერთად იწვევს ხელმომწერთა რიცხვის მკვეთრ შემცირებასაც.**

— **დღეს** უკვე ვეღარ ნახავთ ხელმოწერის პუნქტებში გრძელ რიგებს, — თქვა „სოიუზპეჩატის" რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანების უფროსმა გიორგი თავამაიშვილმა. — ჩვენც და ხელმომწერებიც რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. 1 ოქტომბრისათვის რესპუბლიკის მცხოვრებლებმა გამოიწერეს მხოლოდ 247 ათასი ეგზემპლარი სხვადასხვა გამოცემა, როცა წლების მანძილზე სულ ცოტა 7 მილიონ გაზეთსა და ჟურნალს იწერდნენ. ჯერ, მართალია, კიდევ არის დრო. ჩვეულებრივ ხელმოწერის კამპანიის პიკიც ბოლო ათ დღეზე უწევს...

— **მაგრამ ტემპით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, ძნელი იქნება შარშანდელი დონის მიღწევა?**

— ვფიქრობ, ხელმომწერთა დაინტერესება მაინც შეიძლება. და ეს, უწინარეს ყოვლისა, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა უნდა გააკეთონ. მე ვერ ვასწავლი, როგორ მოაწონონ თავი. აძისათვის საკმარისი საშუალებები არსებობს: მაგალითად, ჟურნალები აცნობენ მკითხველებს მომავალი პუბლიკაციების გეგმებს, გაზეთები აქვეყნებენ მომავალი სტატიების თემებს, შემოაქვთ საინტერესო რუბრიკები, გამოცემები მუდმივ მკითხველებს მოუწოდებენ, არ მიატოვონ ისინი გასაჭირში. გარდა ამისა, ჩემის ფიქრით, გაზეთებმა და ჟურნალებმა, განსაკუთრებით დაწყებული კონკურენციის პირობებში, მეტად უნდა იზრუნონ თავიანთ „სასაქონლო სახეზე".

— **სად გაქრნენ ჰრესის საზოგადოებრივი გამავრცელებლები, რომლებიც გასულ წლებში დიდად უწყობდნენ ხელს გამოწერის საქმეს?**

— დიახ, იყო 14 ათასკაციანი ასეთი გვარდია, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე ეწეოდა ამ საქმეს. ახლა დრო შეიცვალა. ეს ადამიანები უნდა დავაინტერესოთ. აი, მაგალითად, როგორ მოიქცნენ ახალი გაზეთის „კაბადონი-8" და „სოფლის ცხოვრების" რედაქციები: ამ გამოცემების ყველაზე აქტიურ გამავრცელებლებს ისინი დაეხმარებიან საზღვარგარეთის საგზურების შეძენაში, მატერიალურად წაახალისებენ. ასევე იქცევა გაზეთ „რაბოჩაია ტრიბუნას" რედაქციაც.

— **ალბათ, არის გამოუყენებელი რეზერვები „სოიუზპეჩატის" რაიონულ განყოფილებებშიც?**

— დიახ, გახლავთ. პერიფერიებში ხელმოწერის მდგომარეობა, სხვა რომ არა ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელია. ჩვენი ქვეგანაყოფების ბევრი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ იჩენს ინერტულობას. ჩვეულებისამებრ, პარტიული ორგანოების ხელშეწყობის იმედი აქვთ. შემთხვევითი როდია, რომ ქარელის, ახალქალაქის, მარტვილის, ზესტაფონის, ჯავის, ზნაურის, ბოგდანოვკის, ცაგერისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში ხელმოწერილი გამოცემების რიცხვი 1 ოქტომბრისათვის 500-500 ეგზემპლარს არ აღემატება. და ეს მთელ რაიონში(!). რა თქმა უნდა, ორმაგად გაძვირების შემდეგ მკითხველს უჭირს ფსიქოლოგიური დაბრკოლების გადალახვა. ვეთათბირებაში რომ გაერკვეს, ჩვენი მუშაკები უნდა დაეხმარონ. არის ასეთი ანდაზა: თუ მუჰამედი არ მიდის მთასთან, მთა მიდის მუჰამედთან. ამიტომ „სოიუზპეჩატის" ადგილობრივი წარმომადგენლები უნდა მივიდნენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოში, აგიტაცია გაუწიონ გამოცემებს და მოაგვარონ ხელმოწერა. სხვა შემთხვევაში ზოგიერთი განყოფილების არსებობასაც კი საფრთხე შეექმნება.

— **ისიც გამიგონია, რომ ზოგიერთი თავს იკავებს ხელმოწერისაგან, იმ იმედით, რომ რესპუბლიკური გამოცემების ფასი დღეს არა, ხვალ შემცირდება...**

— ჩვენთანაც რეკავენ ხოლმე ამ საკითხზე. საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანებმა სწორად ვერ გაიგეს ტელევიზიით გადაცემული ინფორმაცია. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ ხელი გაუმართა იმ ახალი გაზეთების რედაქციებს, რომლებსაც ჯერ არა აქვთ მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, და შეუმცირა გავრცელების, ექსპედირებისა და გამოცემის ადგილზე მიტანის ფასი ნომინალის 25 პროცენტამდე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დანარჩენი ჟურნალ-გაზეთები კი 50,6 პროცენტს გადაიხდიან. ამ ცნობამ წარმოშვა ის უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა, თითქოს რესპუბლიკური გაზეთების ფასები შემცირდება.

— **ახლა, ბატონო გიორგი, მკითხველებს, უთუოდ, დააინტერესებთ რამდენი ახალი გამოცემა გაჩნდა რესპუბლიკის 1991 წლის კატალოგში?**

— 24. მათ შორის, ხელმოწერის მიმდინარეობით თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე პოპულარულია „საქართველო", „7 დღე", „კაბადონი-8", „ცხოვრება და კანონი", „მამული", „რესპუბლიკა" და სხვები.

— **საინტერესოა, საკავშირო პრესიდან წელს პირველად რისი ხელმოწერა შეიძლება?**

— ბოლოს და ბოლოს, ხელმომწერთა სასიხარულოდ უნდა ითქვას, შინ შეიძლება რუსულ ენაზე „მოსკოვსკიე ნოვოსტის" მიღება. კატალოგში გაჩნდა აგრეთვე ახალი გაზეთები „კომერსანტი", „შჩიტ ი მეჩი", „მეგაპოლის-ექსპრესი", ჟურნალები „დელოვიე ლიუდი", „ბიზნესი". ჩამოგითვალეთ ის გამოცემები, რომლებმაც ხელმოწერის კამპანიის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მოიპოვეს მკითხველთა სიმპათიები.

უნდა მოგახსენოთ, რომ მკითხველი ყველაზე მეტად იწერს ახალ გამოცემებს. ეს გასაგებიცაა: მათ ხიბლავთ უჩვეულო თემატიკა, მასალების მიწოდების ფორმები. მაგრამ არიან ერთგულები ჩვენი ვეტერანი გამოცემებისაც: „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას", „ახალგაზრდა ივერიელის", „ლიტერატურული საქართველოს", „მოლოდიოჟ გრუზიის", „სოფლის ცხოვრების", რომლებიც, იმედი მაქვს, შეინარჩუნებენ თავიანთ მკითხველებს. დიახ, ფასები სოლიდურად გაიზარდა, მაგრამ დამეთანხმებით თანამედროვე ადამიანს არ შეუძლია პრესის გარეშე, საიდანაც იღებს ინფორმაციას რთული, სწრაფად ცვალებადი მსოფლიოს შესახებ. ბოლოს შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა 31 ოქტომბერს მთავრდება.

**ლადო მიზანდარი,**
**ლარისა თუმანიშვილი,**
**საქინფორმის კორესპონდენტები.**

# წერილი რედაქციას

**საქართველოს** უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პარტიების (საარჩევნო ბლოკების) დეპუტატობის კანდიდატთა პარტიულ სიაში (გაზეთი „კომუნისტი", 13 ოქტომბერი, 1989 წელი), საარჩევნო ბლოკი — საქართველოს ეროვნული ერთიანობა და მთიელთა კავშირი, მოხსენიებული ვარ ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორობის პარტიის წევრად.

მოგახსენებთ, რომ ვარ უპარტიო, არასდროს ვყოფილვარ არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი, დეპუტატობის კანდიდატად დამასახელა მთიელთა პოლიტიკურმა კავშირმა.

პატივისცემით
**ფიქრია ზანდუკელი.**

# და მაინც, გვჯერა

**საქართველოს** სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ალტერნატიული პოლიტიკური სატირის საღამო.

რა არის სატირა, ყველამ კარგად ვიცით. სატირული ნაწარმოებებისათვის თემები ჩვენს ცხოვრებაში მუდამ საკმარისად იყო და მას ავითარებდნენ და ავითარებენ ამ ჟანრის ოსტატები განსაკუთრებით წარმატებით ბოლო ხანს, როცა შესაძლებელი გახდა ლაპარაკი, თუ ყველაფერზე არა, ბევრ რამეზე მაინც, და თუ მთელი სიმართლით არა, ნაწილობრივად მაინც. პოლიტიკური სატირაც ნაცნობი რამ არის. მაგრამ რას ნიშნავს ალტერნატიული? რისი ალტერნატიული? აფიშები ინტერესს ბადებდა. კაცს შეიძლება ისიც კი ეფიქრა, ეს საიდუმლოებით მოცული სიტყვა საღამოს მომწყობებმა იმიტომ ხომ არ გამოიყენეს, რომ მეტი მაყურებელი შეეგროვებინათ

წავედით, რომ ჩვენი თვალით გვენახა. თურმე ტყუილად არ მიუმართავთ ამ სიტყვისთვის. მკითხველისათვის საყვარელ ცნობილ მწერალთაგან იყვნენ ნოდარ წულეისკირი, თამაზ წივწივაძე, გურამ პეტრიაშვილი, ამირან კალაძე, თემურ ქორიძე, ავთანდილ ადეიშვილი. მათ მსმენელთა სამსჯავროზე გამოიტანეს სწორედ პოლიტიკური სატირის ჟანრში დაწერილი თავიანთი ნაწარმოებები, და მართლაც, ეს ნაწარმოებები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმისაგან, რასაც მივეჩვიეთ, როცა ლიტერატურული შემოქმედების ამ მიმართულებასთან გვაქვს შეხება. მწერლები ლაპარაკობდნენ ბევრ რამეზე კი არა, ყველაფერზე და ნაწილობრივ კი არა, სრულ სიმართლეს. თუმცა, სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ სამწუხარო იყო თემები, რომლებსაც საღამოს მონაწილენი ეხებოდნენ. დღეს ხომ, კაცმა რომ თქვას, ძალიან ძნელი ცხოვრება დაგვიდგა. იმ მცირერიცხოვან ფაქტორთა შორის, რომლებიც ჯერ კიდევ არ გვაკარგვინებს უკეთესი მომავლის იმედს, ალბათ ის არის, რომ ჩვენში ჯერ არ გადაჩვეულან სიცილს. რამოც ამის დასტური იყო და მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, იმ „სიცილით ვემშვიდობებით წარსულს", და გვჯეროდეს, რომ ძველი დღევანდელი პრობლემები წარსულს ჩაბარდება და აღარასოდეს აღარ დაგვიბრუნდება.

ალტერნატიული პოლიტიკური სატირის საღამოს შემოსავალი მერაბ კოსტავას სახელობის ფონდს გადაეცა.

საქინფორმი

# საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა

## II. ეკონომიკური ნაწილი

### ზოგადი პრინციპები

საქართველოს ბუნებრივ რესურსებსა და მის სტრატეგიულ ადგილმდებარეობაზე კონტროლი იმპერიულ სახელმწიფოთა მეტოქეობის ძირითადი მიზანი იყო. მიუხედავად განუწყვეტელი შემოსევებისა და ომებისა, ქართველი ერის მძლავრი ინდივიდუალიზმის, არახელსაყრელი პირობებისადმი მისი შეგუების უნარის, ასევე, ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების წყალობით, საქართველოს ეკონომიკა ინარჩუნებდა სიცოცხლისუნარიანობას და მისი განვითარების ისტორია მოწმობს, რომ მას ძალუძს იყოს მაღალგანვითარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო.

საქართველოს ეკონომიკის ახლანდელი სტრუქტურა იმ განვითარების სტრატეგიის შედეგია, რომელიც დაგეგმილი და თავს მოხვეულია საბჭოთა წყობილების მიერ, რამაც საქართველოს ფაქტობრივად წაართვა თავისი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სუვერენული არჩევანის უფლება.

იმპერიის ნედლეულის წყაროდ და გასაღების ბაზრად ქცეული საქართველო საერთაშორისო ეკონომიკური პროცესებისგან იზოლირებული აღმოჩნდა. იმპერიული ინტერესები ნთქავდა საქართველოს მდიდარ ბუნებრივ, შრომით და ფინანსურ რესურსებს. დავიწყებას მიეცა საუკუნეებით გამომუშავებული და ქართველი კაცის ეთნოფსიქიკაზე დაყრდნობილი მეურნეობრიობის სისტემა, მისი გაძღოლის მეთოდები. 200-წლიანმა უღელმა, უცხო, თავსმოხვეულმა ეკონომიკურმა სისტემამ, მიწისგან და წარმოების სხვა საშუალებებისაგან გაუცხოებამ, საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო მონოპოლისტურმა საკუთრებამ და შესაბამისად, ქართველი კაცისათვის არატრადიციულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა, საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო, ქართველი მეურნე კი დიდწილად მეწარმისა და აღმშენებლისაგან მიმთვისებლად და მომხვეჭელად აქცია. დაავიწყა გენით კოდირებული რუდუნება შრომისადმი, იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოაქცია და გააუცხოვა მისგან. აქედან გამომდინარე, გასაღები ქართული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობისა, ქართველი მეურნის უცხო, თავსმოხვეული ეკონომიკური სისტემისგან გათავისუფლებაში ძევს.

გარანტი ჩვენი ეკონომიკის აღორძინებისა, არის ის უდიდესი პოტენცია, რაც საქართველოს ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდებარეობაში, მის ბუნებრივ რესურსებში, კლიმატურ პირობებში და ქართველი კაცის შესაძლებლობებში მდგომარეობს. ყოველივე ამის გაცნობიერება და იმ გზების ძიება, რომელიც ქართველ მეურნეს, გაათავისუფლებს, არის ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება. მხოლოდ თავისუფალ მეწარმეობაზე დაყრდნობილი მეურნეობა შესძლებს იმპერიული ეკონომიკური ზღუდის გარღვევასა და საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში უშუალოდ ჩართვას, მყარ საფუძველს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო სიძლიერესა და სულიერი მისიის აღსრულებას, ცივილიზებულ ერთა ოჯახში საქართველოს ღირსეულ შესვლასა და დაფუძნებას.

ქართველი კაცის მეწარმის ნიჭმა ტოტალიტარიზმის პირობებშიც იჩინა თავი და ე. წ. ჩრდილოვანმა ეკონომიკამ საქართველოში სწორედ ტოტალიტარიზმის გამო მიიღო ასეთი მახინჯი ფორმები და მოსახლეობის ფართო ფენების საზიანოდ იქცა. წარმოების საშუალებებზე საქართველოს მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ჯანსაღი ეკონომიკური სისტემა, ამ ენერგიას მიმართავს მოსახლეობის ყველა ფენის სასიკეთოდ, საყოველთაო სიუხვისა და კეთილდღეობისათვის, საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის. მხოლოდ ამ გზით გვესახება საბჭოური ეკონომიკის მოჯადოებული წრის გარღვევა და ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ეკონომიკური განვითარების კალაპოტში გადაყვანა.

მრავალწლიანი ეკონომიკური ძარცვისა და ჩვენი მეურნეობისა და სანედლეულო ბაზის გაჩანაგების თანმიმდევრული პოლიტიკის წარმოებისათვის საქართველოს მთავრობამ სსრკ-ს უნდა წაუყენოს საკომპენსაციო პირობები და აგრეთვე საერთაშორისო სამართლებრივ აქტებზე, კერძოდ კი, რესტიტუცია-სეპარაციაზე დაყრდნობით საქართველოს სახელმწიფო საკუთრებად უნდა გამოაცხადოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა საკავშირო დაქვემდებარების წარმოება-დაწესებულება, ხოლო სტრატეგიულ სამხედრო ობიექტების ირგვლივ გაიმართოს ორმხრივი მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასა და სსრკ-ს შორის.

სწორედ ამ ეკონომიკური საკითხების პარლამენტში გატანა და ამით საქართველოს მომავლის უზრუნველყოფაა ჩვენი ძირითადი ამოცანა.

### გარდამავალი პერიოდის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები

საქართველოს ეკონომიკის აღორძინების აუცილებელი პირობაა მისი პოლიტიკური სუვერენიტეტი. საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისაკენ მიმართულ ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემა უნდა გამოხატავდეს თავისუფალ მოქალაქეთა საერთო ნებას. იგი უნდა ქმნიდეს პიროვნების მატერიალური და სულიერი თავისუფლების საფუძველს, რის გარანტიასაც წარმოადგენს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის აღიარება, სამეურნეო და კომერციული საქმიანობის თავისუფლება, სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის საქმიანი პარტნიორების დამოუკიდებლად შერჩევისა და მათთან ასოცირების უფლება.

კერძო საკუთრების პრიმატი არ გამორიცხავს სახელმწიფო საკუთრების არსებობას. მეურნეობის იმ დარგებში და საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც მეურნეობისათვის არახელსაყრელი პირობებია, შენარჩუნდება სახელმწიფო საკუთრება, რომლის სუბიექტიც იქნება არა სახელმწიფო ზოგადად, არამედ საქართველოს მთავრობა პერსონალურად, რომელიც ერის წინაშე პასუხისმგებელი იქნება მის მიერ გატარებულ ღონისძიებათა ეფექტიანობაზე. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკით გათვალისწინებული უნდა იქნეს მთელი ეროვნული სიმდიდრის დაცვისა და უხარიანად გამოყენების ღონისძიებათა ფართო სისტემა. ეკონომიკის აღორძინების უმნიშვნელოვანესი პირობაა ადამიანის თაოსნობის სტიმულირებისა და მისი შრომის შედეგების დასაკუთრების შესაძლებლობის შეუზღუდველობა. ეკონომიკის საბაზრო პრინციპების ჩამოყალიბება-დამკვიდრების პროცესში თავისუფალი მეწარმეობისა და კერძო საკუთრების დამკვიდრებისათვის უნდა შემუშავდეს ამჟამად არსებული სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობის — პრივატიზაციის რეგულირების კონკრეტული ღონისძიებები.

სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობა უნდა განხორციელდეს თანდათანობით, ეტაპობრივად, იმ ვარაუდით, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩეს მხოლოდ ის საწარმოები, რომელთა ფუნქციონირებაც კერძო მეწარმეობის პრინციპებზე დროის მოცემულ მომენტში გაუმართლებელი იქნება.

კერძო საკუთრების დამკვიდრება კარგ პირობებს ქმნის ეროვნული ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირებისათვის. დაინერგება ისეთი კონკრეტული ეკონომიკური ფორმები და მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც თანდათანობით თავს დავაღწევთ საკავშირო სახალხო-სამეურნეო კომპლექსს და მომზადდება პირობები მსოფლიო ბაზარზე გასვლისა და ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარებისათვის.

საქართველოში თავისუფალი მეწარმეობისა და კერძო საკუთრების პრიორიტეტულობის პირობებში ეროვნული ეკონომიკა უნდა დაეფუძნოს მეურნეობრიობის პრინციპულად ახალ დარგობრივ და რეგიონალურ სტრუქტურას, ყურადღება უნდა გამახვილდეს მეცნიერებატევად დარგებზე და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიასა და პროდუქციის წარმოებაზე.

საბაზრო ეკონომიკის არსი მდგომარეობს მიწოდებისა და მოთხოვნის თანაფარდობის საფუძველზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში. თავისუფალი ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელია კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, ფინანსური ბაზრები და შრომითი ბირჟები. ეს საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ინგრედიენტებია, რომელთა განვითარებასაც პირველ რიგში უნდა ესწრაფვოდეს საქართველო. მას შემდეგ, რაც ეს ელემენტები ამოქმედდება, საქართველოს და, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან გამოცდილების საფუძველზე, ხალხი თავის მიერ არჩეული წარმომადგენლების საშუალებით გადაწყვეტს თუ რამდენად ქველმოქმედი სახელმწიფო უნდათ მომავალში და მზად არიან თუ არა ამისათვის გადაიხადონ უფრო მაღალი გადასახადები.

**1. საგარეო ეკონომიკური კავშირები.** იზოლირებული ეკონომიკური სისტემიდან თავდასაღწევად, საერთაშორისო ინტეგრაციაში საქართველოს თანმიმდევრული ჩართვისა და მოკავშირეებთან და საერთაშორისო (მათ შორის სსრკ) პარტნიორებთან ხელსაყრელი მდგომარეობის მისაღწევად აუცილებელია დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება საერთაშორისო სამთავრობათაშორისო და ევროპულ, რეგიონალურ ორგანიზაციებთან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, განვითარების ევროპული ფონდი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, სოფლის მეურნეობის ორიენტაციის და გარანტიების ევროპული ფონდი, სავალუტო თანამშრომლობის ევროპული ფონდი და სხვა). მხოლოდ მათთან მჭიდრო კონსულტაციურ და ფინანსურ კავშირშია შესაძლებელი განვითარების (ეკონომიკის სტაბილიზაციის, სტრუქტურული ადაპტაციისა და ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციის) პროგრამების დაფინანსებისათვის საერთაშორისო საკრედიტო ბაზრიდან აუცილებელი რესურსების მოზიდვა.

სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან ერთად აუცილებელია თანამშრომლობის დაწყება სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებთან ერთობლივი საწარმოების, ფირმებისა და ბანკების შექმნის მიზნით. შესაბამისად, მათი მოქმედების წესი უნდა განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით.

დასახული მიზნების რეალიზაციისათვის საჭიროა პარლამენტმა ჩაატაროს შესაბამისი საკანონმდებლო სამუშაოები. უნდა შეიქმნას საპარლამენტო მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც დაევალება ამ სფეროში სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაციისადმი კონტროლი, ასევე საპარლამენტო კომისია რეპარაციისა და რესტიტუციის შესახებ;

ამავე დროს, პარლამენტმა უნდა განახორციელოს სსრკ სახელმწიფო ბანკის მიერ უცხოური ვალუტისა და ძვირფასი ლითონების მარაგის შესაბამისი ნაწილის საქართველოს ბანკისადმი გადაცემა.

საქართველომ უცხოური სავალუტო შემოსავლის ნაწილი აქედანვე უნდა შეიტანოს სპეციალურ ანგარიშზე რომელიმე უცხოურ ბანკში რათა დამოუკიდებლობის დროს ამ რესურსებმა უზრუნველყონ ქვეყანა და მისი ცენტრალური ბანკი უცხოური ვალუტის მინიმალური საწყისი მარაგით. აუცილებელია შემუშავდეს პროგრამა ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიის, კაპიტალის, მენეჯერული და მარკეტინგული ტექნიკის დასანერგად. ამისათვის, აუცილებელი იქნება როგორც უცხოელი ექსპერტების მოწვევა საქართველოში, ასევე ეროვნული კადრების მნიშვნელოვანი კორპუსის მივლინება საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე საბაჟო ტარიფების მეშვეობით გარკვეულ სახელმწიფოთა მიმართ უნდა განხორციელდეს პრიორიტეტების მინიჭება — გატარდეს პროტექციონისტული ღონისძიებები; გამოყენებულ უნდა იქნეს ორმხრივი თუ მრავალმხრივი საანგარიშსწორებო ოპერაციები (კლირინგი, ბარტერი და სხვა). საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან მჭიდრო კავშირი უნდა შეიქმნას საქართველოს საინვესტიციო ფონდი, რათა მსოფლიოსათვის ცნობილი გახდეს ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობები.

ამასთან, საქართველო არა მხოლოდ უცხოური ინვესტიციის გამომყენებლის როლში უნდა გამოდიოდეს, არამედ თვითონაც ეწეოდეს აქტიურ საინვესტიციო საქმიანობას.

გარდამავალ პერიოდში ამ და სხვა საგარეო-ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრის ერთადერთი გარანტი პოლიტიკური სტაბილურობაა, რაც მოითხოვს ძლიერ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და ეროვნულ ერთიანობას.

**2. შრომის ანაზღაურება და სოციალური გარანტიები.** სუვერენული საქართველოს სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, მისი ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს საქართველოს მოქალაქეთა დასაქმება. საქართველოს მთავრობამ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებით უნდა შეძლოს მოქალაქეთა ცხოვრების პირობების ამაღლება, ამჟამად არსებული სიღატაკის ლიკვიდაცია.

საქართველოს მთავრობა იზრუნებს რესპუბლიკის მოქალაქეთა შრომის უფლების რეალიზაციისათვის განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, სქესისა, რელიგიისა, ასაკისა, სოციალური წარმოშობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა.

გარდამავალ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის დასაქმების პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელებისა და მოქალაქეთა შესაბამისი გარანტიების უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას საქართველოს მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო საბირჟო სამსახური, რომლის ძირითადი მოვალეობა იქნება მუშახელზე მოთხოვნა-მიწოდების შესწავლა, სამუშაო ადგილებისა და იმ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებიც საჭიროებენ შრომით მოწყობას და მათთვის შესაბამისი სამუშაოს გამოძებნა, უმუშევართა რეგისტრაცია, აღრიცხვა და მათთვის ფულადი შემწეობის მიცემა და სხვა.

საქართველოში შრომის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს წარმოებული პროდუქციის რაოდენობისა და საბოლოო შედეგების გათვალისწინებით, ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობის შეუზღუდავად. საქართველოს მთავრობამ საცხოვრებელ მინიმუმიდან გამომდინარე, რეგიონების მიხედვით უნდა დააწესოს ხელფასის მინიმალური დონე, რომლის დაცვაც სავალდებულო უნდა იყოს ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის მათი საკუთრების ფორმებისგან დამოუკიდებლად.

მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს რესპუბლიკური და რეგიონალური სოციალური პროგრამები, რომელთა საფუძველზე რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს მიეცემა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებათა მინიმუმით უფასოდ სარგებლობის გარანტია.

**3. ფასების პოლიტიკა.** მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის დაცვის საიმედო გარანტიის შესაქმნელად სახელმწიფო მუდმივად მოქმედი მექანიზმის საშუალებით, სამომხმარებლო ფასების ზრდის შემთხვევაში, უნდა განახორციელოს მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ინდექსაცია. ამ თვალსაზრისით, გარდამავალ პერიოდში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე აუცილებელი გახდება სახელმწიფოს მარეგულირებელი ზემოქმედების შენარჩუნება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საბაზრო პროდუქციაზე — პირველი მოთხოვნილების საქონელზე და მოსახლეობის კომუნალურ და სატრანსპორტო მომსახურებაზე.

გარდამავალი პერიოდის საბაზრო ეკონომიკის პირობებში დეფიციტის ლიკვიდაციისა და სამომხმარებლო ბაზრის დარეგულირების კვალობაზე სახელმწიფო ფასები ან ფასების შეზღუდვები შენარჩუნებულ უნდა იქნეს იმ საქონელზე და მომსახურებაზე, რომლებზეც მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში შესამჩნევი იქნება ფასების ზრდის ტენდენცია ან ბაზრის მონოპოლიზაცია.

სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი ამ მიმართულებით გამოვლინდება: პირველი — სახელმწიფო ფასების ან მათი ცვლილების საზღვრების ცენტრალიზებული დადგენა მოსახლეობისათვის სასარსებო მნიშვნელობის მქონე საქონლისა და მომსახურების მკაცრად განსაზღვრულ, რესპუბლიკის პარლამენტის მიერ დადგენილ ასორტიმენტზედ და მეორე — სახელმწიფოს მხრივ ფასების დონესა და დინამიკაზე ზემოქმედება ეკონომიკური მეთოდებით — მოქმედი საგადასახადო, საკრედიტო, საბაჟო პოლიტიკის, ბაზარზე პროდუქციის მიწოდების სახელმწიფო რეგულირებით და ა. შ.

ძირითად საარსებო დანიშნულების საქონელსა და მომსახურებაზე ფასების მოქნილი რეგულირება მწარმოებლების და მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით, შეზღუდავს ფასების ინფლაციურ ზრდას და უზრუნველყოფს მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი ხელმოკლე ფენების საიმედო სოციალურ დაცვას.

ფასწარმოქმნის პროცესმა აქტიური როლი უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მისი ტრადიციული დარგების აღორძინებისა და აღმავლობის საქმეში, ამისათვის აუცილებელია ფართოდ გამოვიყენოთ ფასების რეგულირების გზით სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა ინტერესების დაცვის თანამედროვე ფორმები და მეთოდები, რომლებიც შემოწმებულია მაღალ განვითარებული ქვეყნების პრაქტიკით.

საქართველოს საზღვარგარეთთან ეკონომიკური ურთიერთობის რადიკალურად გაფართოების პირობებში სასიცოცხლო მნიშვნელობა მიენიჭება საშინაო ბაზრის დაცვას, რაშიც მოფიქრებულ და მოქნილ საბაჟო პოლიტიკასთან ერთად დიდი როლი უნდა ითამაშოს ფასწარმოქმნის პოლიტიკამ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ამაღლება და ეროვნული ინტერესების შესაბამისად, შექმნას ოპტიმალური პირობები საშინაო ბაზრის განვითარებისათვის.

საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პერიოდში ფასწარმოქმნის პოლიტიკა ფაქტობრივად გარდამავალი პერიოდის ამსახველი პოლიტიკა იქნება, რომლის მთავარი დანიშნულებაა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და ნაკლები ფინანსური და მორალურ-ფსიქოლოგიური დანაკარგებით უზრუნველყოს რესპუბლიკის ეკონომიკის ახალ თვისობრივ მდგომარეობაში გადასვლა.

გარდამავალი პერიოდის დამთავრების შემდეგ ე. ი. სრული სახელმწიფო სუვერენიტეტისა და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფასწარმოქმნის მექანიზმი ძირითადად ბაზრის კანონებით იქნება განპირობებული, რაც იმას ნიშნავს, რომ სრულად ამოქმედდება თავისუფალი ფასწარმოქმნის მექანიზმი, მინიმუმამდე შემცირდება ფასწარმოქმნის ადმინისტრაციული რეგულირების სფერო და საქონლისა და მომსახურების უდიდეს ნაწილზე ფასები მიწოდება-მოთხოვნის ზემოქმედებით ჩამოყალიბდება.

თავისუფალი ფასწარმოქმნა მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მწარმოებელთა ინიციატივის ფართოდ გაშლას, თავისუფალი კონკურენციის განვითარებას, რაც წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის დინამიკური გაზრდისა და ხარისხის ამაღლების უპირველესი ეკონომიკური საფუძველი გახდება.

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭიროა მომსახურების და ფასიანი ქაღალდების ბაზრის საფონდო და სასაქონლო ბირჟების ორგანიზაცია. ფასების რეფორმამ შეიძლება გადაწყვიტოს მხოლოდ დროებითი პრობლემები, მაგალითად, დისპროპორციების ლიკვიდაცია; არსებითად კი, ფასების პრობლემა შეიძლება გადაწყვიტოს მხოლოდ კონკრეტულმა ბაზარმა.

**4. საგადასახადო სისტემა.** საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს საგადასახადო სისტემა.

გადასახადს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა საწარმო-დაწესებულება და შემოსავლის მქონე მოქალაქე. გადასახადისგან შეიძლება გათავისუფლებული იქნეს ცალკეული სუბიექტები საერთაშორისო შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

გადასახადის ობიექტად უნდა ჩაითვალოს მოგება, ფულადი და ნატურალური შემოსავლები, ქონება, გადამხდელთა ზოგიერთი კატეგორიისათვის მათ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ან მათ მფლობელობაში არსებული მიწა, გამოყენებული ბუნებრივი და [illegible] რესურსები და კანონით [illegible] გადასახადის [illegible]. მოგების გადასახადს გადაიხდიან საწარმოები, საკუთრების ფორმის მიუხედავად სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებულ მოგებიდან. მოგების დაბეგვრის სისტემამ არა მარტო ბიუჯეტი უნდა უზრუნველყოს ფინანსური რესურსებით, არამედ უნდა გადაწყვიტოს ეკონომიკის რეგულირების ამოცანაც. გამოყენებულ იქნება საგადასახადო შეღავათების სისტემა, რომელმაც სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, სტიმული უნდა მისცეს საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებებს. შეღავათების სისტემის ამოქმედება გარკვეულ გავლენას მოახდენს ინფლაციური პროცესების შეჩერებას და ფასების განუსაზღვრელი ზრდის შეზღუდვაზე. შეღავათების სისტემას ადგენს საქართველოს უზენაესი საბჭო, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში დამატებითი შეღავათების გავრცელების უფლება უნდა მიეცეს საქართველოს მთავრობას (იმ ნაწილში, რაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხება), [illegible] ორგანოებს [illegible] მათ ბიუჯეტში [illegible].

გარდა მოგების გადასახადისა, აუცილებელია შემოღებული იქნას დამატებითი ღირებულების გადასახადი და აქციზები. დამატებითი ღირებულების გადასახადით იბეგრება პროდუქციის რეალიზაციის შედეგად ამონაგებსა და მიმწოდებლიდან ნაყიდი საქონლის ღირებულებას შორის სხვაობა. აქციზების სისტემის შემოღება კი, პირველ რიგში მოითხოვს განისაზღვროს ის საქონლის ჯგუფი, რომლის მომხმარებლის დაბეგვრა მიზანშეწონილად იქნება მიჩნეული. მაგალითად, სპირტიანი სასმელები, თამბაქო და ა. შ. აქციზების რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს ფულად ერთეულში საქონლის ნატურალური რაოდენობიდან და პროცენტებში [illegible] ბრუნვიდან.

საშემოსავლო გადასახადით იბეგრება მოსახლეობის შემოსავლები. საქართველოს მოქალაქეთა [illegible] და მცირე შემოსავლიანი ოჯახების ხელმოკლე პირების, სტუდენტი ახალგაზრდობის, [illegible] და სხვათა შემოსავლის დაბეგვრაზე. მოქალაქენი საშემოსავლო გადასახადით უნდა დაიბეგრონ მათი წლიური შემოსავლების შესახებ დეკლარაციის საფუძველზე.

გადასახადი [illegible] მემკვიდრეობაზე (ჩუქებაზე) გადაიხდიან იურიდიული და კერძო პირები მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე (საჩუქარზე). მიწის გადასახადი უნდა გადაიხადოს იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა, რომელთა მფლობელობაშია მიწა, მიწის გადასახადის განაკვეთები უნდა დადგინდეს სხვადასხვა ოდენობით, იმისდა მიხედვით, თუ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვისაა გამოყოფილი თუ სხვა მიზნით. გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებული უნდა იქნეს მიწის ადგილმდებარეობისა და ნაყოფიერების მიხედვით.

სახელმწიფო [illegible] გადაიხდიან დადგენილი განაკვეთებით იურიდიული და კერძო პირები იურიდიული ქმედების [illegible] და დოკუმენტების გაცემისას, რომლებიც გამომდინარეობს საწარმოების, ორგანიზაციების, აგრეთვე ცალკეული მოქალაქეების ინტერესებიდან.

სატრანსპორტო საშუალებებზე გადასახადს გადაიხდიან იურიდიული და კერძო პირები — სატრანსპორტო საშუალებების მფლობელები. გადახდის განაკვეთები დაწესდება ძრავის სიმძლავრის ერთეულზე ან ტონაჟზე.

გადასახადს გაჭუჭყიანებისათვის გადაიხდის იურიდიული ან კერძო პირები, რომლებიც გააჭუჭყიანებენ გარემოს, გადასახადის ოდენობა დამოკიდებული იქნება გაჭუჭყიანების ხარისხზე, მოცულობაზე, ხასიათზე, ხანგრძლივობაზე და მისი მოქმედების სფეროზე.

სატრანზიტო გადასახადს გადაიხდის იურიდიული და ფიზიკური პირები საქართველოს ტერიტორიის გადაკვეთით ტვირთის გადატანისა და მგზავრთა გადაყვანისათვის. საბაჟო გადასახადს გადაიხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების ჩატარებისას.

საზღვარგარეთის იურიდიული და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან საზღვარგარეთის კომპანიები, ფირმები, კოოპერატივები, საწარმოები და სხვა ნებისმიერი ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე უშუალოდ ან საქართველოში არსებული წარმომადგენლობის მეშვეობით.

გადასახადს ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის გადაიხდიან იურიდიული და ფიზიკური პირები. გადასახადი გადაიხდება ბუნებრივი რესურსებიდან და მადნეული და არამადნეული წიაღისეულის მოპოვებისა და გამოყენებისათვის.

საკურორტო გადასახადს გადაიხდიან ფიზიკური პირები, რომლებიც დროებით საცხოვრებლად, სამკურნალოდ ან დასასვენებლად ჩამოვლენ რესპუბლიკის კურორტებზე.

საქველმოქმედო ღონისძიებებით მიღებული შემოსავლები არ იბეგრება.

ეკლესია გათავისუფლებულია საშემოსავლო ბეგარისგან.

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ყველა გადასახადი უნდა ჩაირიცხოს საქართველოს ბიუჯეტში. გადასახადების განაწილება რესპუბლიკის და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის უნდა განისაზღვროს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ. გადასახადების განაწილება საქალაქო (რაიონულ) ბიუჯეტსა და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის განისაზღვრება ქალაქის (რაიონის) თვითმმართველობის ორგანოს მიერ.

**5. საბანკო სისტემა და ფულად-საკრედიტო მიმოქცევა.** საქართველოს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა მხოლოდ მის უზენაეს ხელისუფლებას დაქვემდებარებული ორიარუსიანი საბანკო სისტემა, რომლის სათავეში იქნება ცენტრალური ეროვნული ბანკი, ხოლო პირველ იარუსზე განლაგდებიან კომერციული ბანკები, რომელთათვისაც უმაღლესი განმკარგულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოა მეპაიე — დამფუძნებელთა საერთო კრება, რომელთა კაპიტალითაც იქმნება კომერციული ბანკების არსებობის ძირითადი ფინანსური საფუძველი — საწესდებო ფონდი.

ჩვენი ეკონომიკის მეტად მძიმე ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, გარდამავალ პერიოდში, საბანკო სისტემის კომერციალიზაციის პირველ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო კომერციული ბანკების შექმნას, რომელთა საწესდებო ფონდებიც მათი მიზნებიდან გამომდინარე, უპირატესად სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებიდან შეიქმნება, რამეთუ საპაიო საწყისებზე შექმნილი კომერციული ბანკები ვერ შესძლებენ ფინანსურად გაკოტრების წინაშე მდგარ თუ პრაქტიკულად უკვე ბანკროტ საწარმოებისა და ორგანიზაციების მომსახურებაზე აყვანას, რომელთა რაოდენობაც დღეს მეტად დიდია, ბევრი მათგანის ფუნქციონირება კი, აუცილებელი.

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად ეროვნულ ბანკს მიენიჭება ცენტრალური ბანკის სტატუსი, რომელსაც გარდა კომერციული და კოოპერაციული ბანკების საქმიანობის ზემოთაღნიშნული კოორდინაციისა და ზედამხედველობისა ექნება ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, როგორიცაა ფულის მიმოქცევის, დაკრედიტების, დაფინანსების, ანგარიშსწორებისა და სავალუტო ურთიერთობათა სფეროში რესპუბლიკის ერთიანი პოლიტიკის გატარება, ფულად საკრედიტო სისტემის ცენტრალიზებული მართვა, მყარი ფულადი მიმოქცევისა და ქართული ფულის მსყიდველობითი უნარის განმტკიცების უზრუნველყოფა, მისი გასაცვლელი კურსის დადგენა სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებთან და სხვა.

საქართველოს უზენაესი საბჭო ნიშნავს ეროვნული ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს და ამტკიცებს ცენტრალური ბანკის წესდებას.

ერთიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად აუცილებელია შეიქმნას ჩვენი ბანკების და პირველ რიგში ცენტრალური ბანკის ფილიალები და წარმომადგენლობები ყველა იმ ქვეყანაში, რომელთანაც დავამყარებთ ურთიერთხელსაყრელ კავშირებს. საჭიროა, აგრეთვე, შეიქმნას ერთობლივი ბანკები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ეროვნული ეკონომიკის ინტერესებისათვის გამოვიყენოთ ჩვენი პარტნიორების საკრედიტო ბაზები და მათ მიერ გაცემული გარანტიების საფუძველზე გაცილებით ადვილი იქნება როგორც უცხოური კაპიტალის მოზიდვა, ასევე ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაცია.

დამოუკიდებელი საქართველოს საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის გზაზე უმნიშვნელოვანესია ფულის ეროვნული ერთეულის შემოღებაა. ეროვნული ფული უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებთან ინტეგრირების მტკიცე გარანტი. საქართველოს ეკონომიკა, რომელიც თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებზე იფუნქციონირებს, კარს გაუღებს სხვადასხვა სამეურნეო პარტნიორებს, საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იმოქმედოს მრავალი ქვეყნის კონვერტირებულმა ვალუტამ. ასეთ პირობებში აუცილებელია ფულის საკუთარი ერთეული, რომლის მეშვეობითაც იწარმოებს ერთობლივი ეროვნული პროდუქტის აღრიცხვა, საგადასახდელო და სავაჭრო ბალანსების დადგენა, ეროვნული ვალუტის სამეურნეო ბრუნვაში შემოღება ვერ განხორციელდება ერთდროული აქტის სახით. ამ მიზნისათვის დამოუკიდებელ საქართველოში უნდა ჩატარდეს რიგი ღონისძიებებისა, რომელიც შექმნის ეროვნული ვალუტისათვის მტკიცე საფუძვლებს.

### დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა

საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვა და მისი შემდგომი განმტკიცება მოითხოვს თავსმოხვეული კოლონიური დარგობრივი სტრუქტურის დემონტაჟს და ერის ინტერესების შესაბამისად მის ხელახლა ფორმირებას.

1. მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად. პირველ ეტაპზე, ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებას, რომელთა ნედლეულით უზრუნველყოფა უპირატესად საქართველოს მდიდარი ბუნებრივ-კლიმატური პირობებითაა განპირობებული და იმ დარგების განვითარებას, რომლებსაც უკვე გააჩნიათ პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გატანის გარკვეული ტრადიციები.

ეროვნული ეკონომიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა ჩამოყალიბდეს საქართველოსათვის შესაფერისი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ოპტიმალური სტრუქტურა, რომლის განვითარებაში დაშვებული შეცდომების გამო რესპუბლიკის ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის საქმე მეტად არადამაკმაყოფილებელია.

საქართველოში ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ტერიტორიაზე არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მთელი კომპლექსი, განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ ენერგეტიკის არატრადიციული დარგების: მზის, ქარის, თერმული წყლების განვითარებას, მნიშვნელოვანია აგრეთვე, ჰიდრორესურსების სათანადო გამოყენება, ამასთან, ბიოგაზის ენერგეტიკის მოსახლეობის სამსახურში ჩაყენება. ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის მიმართულების განსასაზღვრავად ენერგეტიკულ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა გათვალისწინებით, თითოეული ახლადაშენებული ობიექტისათვის უნდა განისაზღვროს ოპტიმალური პარამეტრები. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ადგილობრივი პირობების, ჩვენი ისტორიული წარსულისა და ეროვნული ტრადიციების თავისებურებანი.

საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ჩვენს ჰიდროენერგეტიკაში მცირე ჰიდროელექტროსადგურების ადგილისა და როლის საკითხი. მათ უდიდესი მნიშვნელობა გააჩნიათ და საქართველოს მისი განვითარების კარგი შესაძლებლობაც აქვს. მცირე ჰიდროენერგეტიკის ჯეროვანი განვითარება, პირველ რიგში უზრუნველყოფს მაღალმთიანი ცენტრიდან დაშორებული რაიონების ლოკალურ ელექტრომომარაგებას, მათ ფართო ელექტროფიკაციას, ხელს შეუწყობს ამ რეგიონების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით ნორმალური უზრუნველყოფის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს ამ რესურსების ეკონომიურმა და რაციონალურმა გამოყენებამ. დამოუკიდებელ საქართველოში საკუთრების ფორმებისა და წარმოებითი ურთიერთობის ახალ პირობებში ეს ფაქტორი გაცილებით მეტი ძალით იმოქმედებს.

როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს მანქანათმშენებლო კომპლექსმა. მან საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა აწარმოოს ისეთი პროდუქცია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერებას და არსებული მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ბაზის ოპტიმალურ გამოყენებას. ამასთან, უნდა შეიქმნას პირობები საშუალო და მცირე ზომის საწარმოთა განვითარებისათვის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საგარეო ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში. აღნიშნული ამოცანის განხორციელება შესაძლებელი გახდება თვით მანქანათმშენებლობაში ოპტიმალური შიგადარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს მრეწველობაში წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, ძირითადად რესურსტევადობის შემცირების ხარჯზე.

საქართველოში მეტალურგიული კომპლექსის განვითარების შედარებით შეზღუდული პირობებია. ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეურნეობაში ლითონტევადობის შემცირებას. ლითონზე საქართველოს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მნიშვნელოვანწილად უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქციის ხარჯზე განხორციელდება. ამასთან, მაღალი ტემპებით უნდა განვითარდეს შავი და ფერადი მეტალურგიის ისეთი დარგები, რომელთა სანედლეულო ბაზაც რესპუბლიკას გააჩნია და მათი პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზეც უნდა გაიყიდოს.

საქართველოს წინაშე მდგომი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრაში დიდი წვლილი უნდა შეიტანოს საშენ მასალათა მრეწველობამ, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მშენებლობის ინდუსტრიალიზაციას და მომარაგოს იგი თანამედროვე სამშენებლო კონსტრუქციებით. მრეწველობის ამ დარგში, ეკოლოგიური მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ძირითადად უნდა ფუნქციონირებდეს საშუალო და უპირატესად მცირე ზომის საწარმოები. მათ უნდა უზრუნველყონ უნიკალური სანედლეულო ბაზის სწორი გამოყენება, მშენებლობის მასშტაბების გადიდება, ქვეყნის სავალუტო რესურსების ზრდა.

— საქართველოს ინდუსტრიის ერთ-ერთი ძირითადი დარგია კვების მრეწველობა, რომელიც ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, კვლავაც შეინარჩუნებს წამყვან როლს მეურნეობაში. ისეთი მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე სასურსათო პროდუქტები, როგორიცაა ქართული სამარკო, ნახევრად ტკბილი და ტკბილი ღვინოები და კონიაკი, შამპანური, ჩაი, ხილ-ბოსტნეულის კონსერვები, ეთერზეთები, მინერალური წყლები, უალკოჰოლო სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, უნდა გახდნენ კონკურენტუნარიანნი საერთაშორისო ბაზარზე. საქართველომ უნდა უზრუნველყოს კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მაქსიმალური დაკმაყოფილება, რისთვისაც საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგებთან ერთად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი მნიშვნელობის დარგების განვითარებას, განსაკუთრებით კი, ხორცისა და რძის მრეწველობას, რაც საქართველოში სავსებით შესაძლებელია წარმოების სწორი ორგანიზაციისა და სტიმულირების პირობებში.

— საქართველოში, როგორც ყველა საზღვაო ქვეყანაში, სპეციალიზაციის ერთ-ერთ დარგად უნდა იქცეს და სწრაფი ტემპით განვითარდეს თევზის მრეწველობა.

— საქართველოს მრეწველობის ერთ-ერთ ტრადიციულ დარგს მსუბუქი მრეწველობა წარმოადგენს, რომელსაც პერსპექტივაში უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. სოფლის მეურნეობის განვითარების კვალობაზე, როცა გაიზრდება აბრეშუმის პარკის, მატყლის, ტყავის და სხვა სანედლეულო რესურსების წარმოება მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს აბრეშუმისა და შალის ქსოვილების და ტყავის ნაკეთობათა გამოშვება, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე. მრეწველობის ამ დარგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს წარმოებისა და პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებას.

2. სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის განვითარების გზად მიჩნეული უნდა იქნეს ინტენსიფიკაცია. მეურნეობრიობის საფუძველია კერძო მეწარმეობა და შესაბამის ასოციაციათა პირდაპირი კავშირ-ურთიერთობა, რომელთა შექმნა საჭიროდ მიაჩნია სოფლის მოსახლეობას იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობა მტკიცედ დაუკავშირდეს ბაზარს.

აღდგენილ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის ეროვნულ-ტრადიციული ფორმები, უნდა შეიქმნას მემარცვლეობის კერები აღმოსავლეთ საქართველოში ხორბლისა და სიმინდის წარმოებით, დასავლეთ საქართველოში — სიმინდისა და პარკოსნების წარმოებით; მაღალმთიან ზონაში მიზანშეწონილია საგაზაფხულო თავთავიანი კულტურებისა და კარტოფილის წარმოება.

ქართველი ხალხის მატერიალური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა მევენახეობა, მისი განვითარება უნდა პასუხობდეს ამ დარგის კლასიკური ქვეყნის წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს, რისთვისაც საჭიროა მრავალჯიშიანობის აღდგენა. ამავე დროს, მსოფლიო სტანდარტების გათვალისწინებით უნდა განვავითაროთ მევენახეობა სუფრის, სადესერტო, შამპანური ღვინოებისა და კონიაკის საწარმოებლად.

მეხილეობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამრეწველო მიმართულებებს. ამ მიზნით ხელი უნდა შეეწყოს ზონალური პირობების გათვალისწინებით მაღალინტენსიური ბაღების განლაგებისა და მეურნეობრიობის სათანადო მეთოდების დანერგვას.

მეციტრუსეობა განვითარდება მიკროკლიმატური და მიკრონიადაგური პირობების შესაბამისად, საშინაო და საგარეო ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით.

მეჩაიეობის განვითარებას საფუძვლად დაედება მისი ეკონომიკური და სოციალური მიზანშეწონილობა. ამ მიზნით პლანტაციები შენარჩუნდება ხარისხისა და შრომატევადობის, აგრეთვე საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ასევე მნიშვნელოვანია მებოსტნეობა-მებაღჩეობა, რომლის განვითარებისათვის რეკომენდაცია უნდა მიეცეთ სპეციალიზებულ გლეხურ მეურნეობებს.

საბჭოურმა მეთოდებმა მეცხოველეობა ზარალიან დარგად აქციეს და ერს მძიმე ტვირთად მოავლინეს. მისი აღდგენა-განვითარება მოითხოვს ჯიშობრივი შემადგენლობის (ადგილობრივის უპირატესობით). საკვები ბაზის, პროდუქტიულობის გადიდების, ტექნოლოგიის, ორგანიზაციის, ზოოტექნიკურ-ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესებას. ამ საკითხთა მეცნიერული რეკომენდაციები უნდა მიეცეს შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

3. ტრანსპორტი. რესპუბლიკის სატრანსპორტო სისტემაში წამყვანი ადგილი უკავია საავტომობილო ტრანსპორტს, რომლის წამყვანი [illegible] უახლოეს [illegible] ჩუნებული იქნება.

— საქართველო [illegible] კურ უპირატესობას ფლობს, რომ იგი საზღვაო ქვეყანაა, რაც მსოფლიო ოკეანეში უშუალო გასვლის საშუალებას იძლევა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

საზღვაო ტრანსპორტი უნდა გახდეს საქართველოს სახელმწიფო საკუთრება და ყოველგვარი ურთიერთობა (საფინანსო, საგადამხდელო და სხვა) აწარმოოს დამოუკიდებლად. საზღვაო ტრანსპორტის შემდგომ განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ეკონომიკის, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ზრდისათვის, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია მისი პრიორიტეტული განვითარება.

სამწუხაროდ, რკინიგზის გამტარუნარიანობა ამჟამად ამოწურულია, არასახარბიელო მდგომარეობაა ტექნიკური ბაზის დონის მხრივაც. რეკონსტრუქციას საჭიროებს სალიანდაგო, სასადგურო მეურნეობები, საკონტაქტო ქსელი და სხვა.

— დამოუკიდებელ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საჰაერო ტრანსპორტს და ტრანსპორტის სპეციალურ სახეობების (ბაგირგზები, მონორელსები, პნევმოტრანსპორტი და სხვ.) განვითარებას. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსათვის საჰაერო ფანჯრის შექმნისა და საკუთარი საჰაერო ფლოტის ჩამოყალიბებას.

4. სოციალური ინფრასტრუქტურა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მეურნეობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას — ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვა. ამ მიმართულებით განსახორციელებელ ამოცანათა შორის უმთავრესია სასაქონლო რესურსების ზრდა, მათი ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება შიგარესპუბლიკურ წარმოებაში და მზარდი შემოტანა გარედან იმპორტის წესით. უნდა მივაღწიოთ სურსათის ძირითად სახეთა საშუალოსულადობრივ წლიურ მოხმარებას ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად, უზრუნველვყოთ სასაქონლო რესურსების სწორი დაბალანსება მოსახლეობის მსყიდველუნარიანობასთან

მოთხოვნა-მიწოდების სწორად დაბალანსების მიზნით ყურადღება უნდა გამახვილდეს მოსახლეობის მოთხოვნების შესწავლისა და პროგნოზირების პრობლემებზე.

— საქართველოსათვის მნიშვნელოვანია რეკრაციულ-ტურისტული კომპლექსების განვითარება, რომელიც მიმართული იქნება ერთის მხრივ, საქართველოს მოქალაქეების დასვენებისა და ფიზიკური გამაჯანსაღებისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ, მიიზიდავს უცხოურ ვალუტას და ცივილიზებულ მსოფლიოსთან კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის საწყისებს შექმნის. განსაკუთრებული ზრუნვის საგნად უნდა იქცეს მასობრივი სპორტისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ერის ფიზიკურ გაჯანსაღებას და თავის მხრივ, სტიმულს მისცემს პროფესიული სპორტის განვითარებას.

— უმნიშვნელოვანესად მიგვაჩნია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის თვისობრივი განახლება.

სამედიცინო დაწესებულებების შემოსავლები ფორმირდება სამი წყაროს საფუძველზე: საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ჯანმრთელობის დაცვის ფონდი, ინდივიდუალური სადაზღვევო ფონდი, სახელმწიფო ბიუჯეტი. ამ საფუძველზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფილაქტიკურ და სადაზღვევო მედიცინის განვითარებას.

— ადამიანის შემოქმედებითი უნარის განვითარება უნდა ავიყვანოთ თვისებრივად ახალ დონეზე. საჭიროა შეიქმნას განათლების მთლიანი კონცეფცია, რომელშიც ერთად იქნება განხილული განათლების ყველა ფორმა, ყველა სპეციალისტთა მომზადების გრძელვადიანი [illegible] და წყაროები, შედეგს [illegible] პროგრამა, ეროვნული სკოლისათვის შეიქმნას ახალი პროგრამები. ჩამოყალიბდეს კადრებთან მუშაობის მოქნილი სისტემა, სპეციალისტების მომზადება ძირითადად მოხდეს სოციალური დაკვეთების შესაბამისად, სისტემატიურად მდიდრდებოდეს ინფორმაციის

(დასასრული მე-6 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. ეკონომიკური ნაწილი

(დასასრული)

წყაროები და რეგულარულად განხორციელდეს ახალგაზრდების მივლინება საზღვარგარეთ სასწავლებლად.

გარდამავალ პერიოდში საქართველოში განათლების პრიორიტეტული განვითარებისათვის აუცილებელია მისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა და მაღალკვალიფიციური ეროვნული კადრებით უზრუნველყოფა.

კულტურა. თითქმის ორასწლოვანმა იმპერიულმა უღელმა უამრავი, უაღრესად მწვავე პრობლემა წარმოშვა ჩვენი ერის სულიერი კულტურის სფეროში. სწორედ სულიერი საწყისია პირველადი, ანუ ყოველივე არსებული განმსაზღვრელი და შესაბამისად უმაღლესი ფასეულობის მატარებელი.

სულიერი ეროვნული კულტურის განვითარება უმჭიდროვეს კავშირში უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან. თუ ეკონომიკაში შესაძლებელი უნდა იყოს სახელმწიფო და კერძო საკუთრება, აქაც უაღრესად მოფიქრებულად უნდა შეუსაბამოთ ერთმანეთს სახელმწიფო დოტაციების პრინციპი და კომერციული მიდგომა. ამავე დროს, ძალზედ ფაქიზად უნდა იქნეს გათვალისწინებული თითოეული სფეროს სპეციფიკა — მისი არსებობის და განვითარების შიდა, ავტონომიური კანონზომიერებები.

ხელისუფლებისა და კულტურის ცალკეულ სფეროს შორის ურთიერთობის მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რწმენის, რელიგიის, ეკლესიის საკითხებს, კერძოდ, განსაკუთრებით გონივრულ შეხამებას მოითხოვს, ერთის მხრივ, ყველა ცივილიზებული ქვეყნების მიერ აღიარებული ნორმების დაცვა: საერო და სასულიერო ხელისუფლების გაყოფა, ეკლესიის საქმეში ჩაურევლობა, რელიგიური აღმსარულებლობის სრული თავისუფლება და მეორეს მხრივ, ჩვენი აშკარა დაინტერესება ეკლესიის აღორძინებით, სასულიერო პირთა მაღალი ზნეობითა და ინტელექტუალური დონით.

და ბოლოს, უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი კულტურის ორიენტაციის საკითხი, რათა ქართველმა ერმა ნათლად შეიცნოს თავისი თავი და მისი ადგილი მსოფლიო კულტურაში.

# ...არის ნობელის პრემია!..

### ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს 1990 წლის ნობელის პრემია მიენიჭა.

**ამა წლის** 15 ოქტომბერს მთელ კაცობრიობასთან ერთად საბჭოთა ხალხმა, თითოეულმა ჩვენთაგანმა დიდი სიხარული განიცადა, პატივი იგრძნო, შვეციის საერთაშორისო ნობელის პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებით მიხეილ გორბაჩოვს საერთაშორისო, ჭეშმარიტად ავტორიტეტული პრემია მიანიჭა. ეს დიდი პატივია, რაღა თქმა უნდა, თავად გორბაჩოვისათვის, ასევე საბჭოთა ქვეყნისათვის, როცა პოლიტიკურ ლიდერს, პრეზიდენტს მსგავსი უპრეცედენტო საერთაშორისო პრემია ენიჭება.

მაგრამ მსგავსი დაფასება და აღიარება 300-მილიონიანი საბჭოთა კავშირის, რუსეთის იმპერიის და მის მიერ დამონებულ, დაპეჩავებულ, მშიერ, სითბოს და სინათლეს, ყოველგვარ ადამიანურ, ელემენტარულ ცხოვრებისეულ პირობებს მოკლებული საბჭოთა ადამიანისათვის ერთგვარი შინაგანი პროტესტის მუხტითაა განზავებული, რადგან „პერესტროიკამ" და ამით უსასრულოდ მოამაყე მისმა ავტორმა საბჭოთა ხალხებს ნაწილობრივი სულიერი განმუხტვის გარდა ვერაფერი ცხოვრება, — ამ სიტყვის და მცნების ფართო გაგებით, — ვერ გაუუმჯობესა. პირიქით, არა თუ გაუუმჯობესა ყოფაცხოვრება, წლითი-წლობით, თვე და თვე, დღე და დღე, საათ-საათ და წუთი-წუთ მისი ყოფა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა და ხდება.

ამერიკელი კორესპონდენტის ბევრისმომცველ, მრავლისმანიშნებელ შეკითხვაზე — თუ როგორ იმოქმედებს მისთვის ნობელის პრემიის მინიჭება დღეს და მომავალში საბჭოთა ხალხის კეთილდღეობასა და ცხოვრებაზეო, ახალმა ნობელიანტმა დასძინა: ეს უფრო ემოციურ-ინტელექტუალურ სფეროს ეხება და მასზე ზემოქმედებსო. ურიგო პასუხი და დაპირება როდია, მაგრამ ამის გარდა, კაცის ცხოვრება სხვა რამ პრობლემებსაც გულისხმობს.

ესეც შენი „პერესტროიკა" და „ნობელის" პრემია.

ქვეყნის პრეზიდენტისათვის, პოლიტიკოსისათვის საერთაშორისო სარბიელზე მიღწევები ბევრს ნიშნავს, პრესტიჟულია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს და პრესტიჟული, საკუთარი ქვეყნის და საკუთარი ხალხის საშინაო, „ხელშესახები მიღწევები", უპირველეს ყოვლისა, მისი კეთილდღეობა.

როგორც პრეზიდენტი გვპირდება, იქნებ ყველაფერი მართლაც წინაა?!

შესაძლოა.

ჯერჯერობით კი პრეზიდენტმა 7 ნოემბრის ბოლშევიკური დღესასწაულის „ჩატარების" უფლება მოგვცა. ესეც „დიდი საქმეა"... შეღავათია.

ერთი ძველი ქართული ანდაზა გამახსენდა: „ჰაცე ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო".

„პერესტროიკიდან" მოყოლებული ბარემ მეექვსე გაზაფხული დადგა, მაგრამ „იონჯას" ვერა და ვერ ვეღირსეთ. სამაგიეროდ რევოლუციური დღესასწაულების „რეანიმაცია" შემოგვთავაზეს.

... მოკლედ არის ნობელის პრემია!!!

წინ დიდი „ბაზრობა" გველის.

**ავთანდილ ზველეხიანი,**
**ამ საკაცობრიო მოვლენებით და აღიარებით შეპყრობილი, პერესტროიკით გაბედნიერებული, ერთი ვინმე რიგითი მოქალაქე, ჟურნალისტი.**

# ქართველთა შორის მართლმადიდებლობის განმამტკიცებელი დასი

დიდი გაჭირვების წინაშე ვდგავართ დღეს ქართველები, ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის ნაცვლად სულ უფრო იკიდებს ფეხს მტრობა, ვერაგობა, ღალატი, სიზარმაცე, მექრთამეობა, კორუფცია, პროსტიტუცია, შური, სიხარბე, მკვლელობა, ქურდობა, ნარკომანია...

ბევრი გაფაციცებით ეძიებს მხოლოდ ხორციელ საზრდოს, ფიქრობს რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭოს და ფუფუნებაში იცხოვროს. საქართველოს ბედი, მისი უკეთესი მომავალი კი სულაც არ ადარდებს; შვილი რომ შვილია, მისი გაჩენა და აღზრდაც არ უნდა, ვინაიდან შვილს ბევრი სულის ბერვა უნდა...

ყოველივე ეს გამოწვეულია სარწმუნოების უარყოფით, რისთვისაც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღიდანვე მარქსისტულ-ლენინური კომუნისტური პარტია თავგადაკლული იბრძოდა და, სამწუხაროდ, ჩანაფიქრი მართლაც ჩინებულად განახორციელა. ამით ისარგებლეს ბოროტმა ძალებმა და მრავლად ჩამოაყალიბეს სექტანტური ჯგუფები, რომლებშიც ჩათრეულნი არიან არა მარტო ქართველი ახალგაზრდები, არამედ ხანშიშესულნიც, რაც მეტად შემაშფოთებელი და სავალალოა. ჩვენ ჯერ კიდევ დასის დაფუძნებამდე ვამხილეთ რამდენიმე ჯგუფი. ეს ეცნობა უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II და თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორს, პროტოპრესვიტერს მამა გიორგის. მამა გიორგი ესაუბრა სექტების მესვეურებს მათი საქმიანობის ქართველთათვის მავნეობისა და კვლავ მართლმადიდებლობისაკენ მოქცევის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ. დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ანტიქრისტიანულ მოქმედებას ამჟამადაც განაგრძობენ, ამიტომ მათს სექტებში ქართველთა ჩათრევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება გადაუდებელია.

მართალია, ბოლო დროს ზევრი სასიკეთო რამ ხდება ეკლესიურ ცხოვრებას ჩამოცილებული ქართველების მართლმადიდებლობისაკენ მასობრივად მოქცევისათვის. შენდება ახალი, რესტავრირდება დრო-ჟამისა და ცოდვილთაგან დაზიანებულ-წაბილწული ტაძრები, მაგრამ ამ დიდი საქმისათვის საჭიროა ხალხის მასობრივი ინიციატივა.

ზემოხსენებულმა პრობლემებმა განაპირობეს 1990 წლის 5 მაისს არაპოლიტიკური, ქართველთა შორის მართლმადიდებლობის განმამტკიცებელი დასის (მგდ) დაფუძნება, რომელიც არსებობს საქართველოს სახალხო ფრონტთან. დამფუძნებელ კრებაზე მიღებული იქნა მგდ-ს დებულება. დებულებით მას ძირითადად გათვალისწინებული აქვს:

საბჭოთა ხელისუფლების 70-წლიანი ბარბაროსობის შედეგად რწმენადაკარგული და სხვადასხვა სექტაში გაერთიანებული ქართველების მართლმადიდებლობისაკენ მასობრივი შემობრუნების (რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორთაგანია საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა), რაც შეიძლება მალე მიღწევა.

დასის წესდების შესაფერისი დამხმარე ლიტერატურის, მეგზურების და ბუკლეტების გამოცემა, აგრეთვე, საწარმოების გახსნა, რის შედეგადაც მიღებული მოგება მთლიანად მოხმარდება ეკლესიების, სხვა კულტურული ძეგლების აღდგენას, აგრეთვე, ახალი ეკლესიების მშენებლობას საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმებით, ქართველი მრავალშვილიანი და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სოციალურ და მატერიალურ დახმარებას.

ქართველთა შორის მართლმადიდებლობის განმამტკიცებელ დასში გაერთიანება შეუძლია ყველა მოქალაქეს, რომელიც აღიარებს მის წესდებას, არის მართლმადიდებელი და სურს წვლილი შეიტანოს ამ ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეში.

ქართველთა შორის მართლმადიდებლობის განმამტკიცებელი დასის ანგარიშის ნომერია: 000700544 ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის ბინსოცბანკი.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ანაგის ქ. № 7.

**ქართველთა შორის მართლმადიდებლობის განმამტკიცებელი დასის სახელით**

**გაბრიელ ისაკაძე.**

# გვაქვს თანადგომის იმედი

**ბუნებრივია,** არავითარი ბჭობის საჭიროებას არ წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უდიდესი კუთხე კახეთი თავისი განუყოფელი ნაწილით — ქიზიყ-ჰერეთით უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრებაში. კერძოდ, ქიზიყი (ანუ კამბეჩოვანი, როგორც იწოდებოდა ძველად) თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით და თავისი უტეხი, ამაყი და თავისუფლებისმოყვარე ადამიანებით წარმოადგენდა ბუნებრივ ფორპოსტს აღმოსავლეთის მხრიდან მომხდარი აურაცხელი მტრის მოსაგერიებლად. ჩვენი ხალხის ისტორიული წარსული მდიდარია ამ უბატონო კუთხის მცხოვრებთა მიერ გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისა. საოცარი მაგალითებით, სამშობლოსათვის თავდადების შთამბეჭდავი ეპიზოდებით. იორ-ალაზნის კალთებზე გადაჭიმულ ამ ბარაქიან მიწა-წყალს ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინათ ბევრი უცხოელი მოგზაური თუ მისიონერი მოუხიბლავს და ალტაცების სიტყვები უთქმევინებია. ქიზიყ-ჰერეთის მდიდარი ისტორიული, არქეოლოგიური, კულტურულ-ლიტერატურული, ეთნოგრაფიული და ყოფითი ტრადიციები საუკუნეთა სიღრმეში იკარგება, მეცნიერთა დასკვნებით, ეს ის კუთხეა, სადაც არსებობდა ჯერ კიდევ წინაქრისტიანული ხანის კულტურის კერები (ზოგიერთი მათგანი დღემდეა მოღწეული), ხოლო ქრისტიანობის შემდეგდროინდელი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, ახლაც ამაყად მომზირალი ციხე-ბურჯები და გალავნები ამ რეგიონის მდიდარ ისტორიულ წარსულზე ღაღადებენ. ხირსის, ბოდბის, ამაღლების, ბერთა გამოქვაბულის, ქოლაგირისა თუ სხვა სამონასტრო კომპლექსები, რომლებიც თავის დროს წარმოადგენდნენ კულტურისა და განათლების კერებს, იყალთოს აკადემიის, ნეკრესის, გრემის თუ სხვა რიგ კულტურის ცენტრებთან ერთად შედიოდნენ კულტურის დიდ არეალში.

ალბათ, აღარც იმის საჭიროებაა. გავიხსენოთ თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა თავისუფლებისათვის ბრძოლაში კახეთ-ჰერეთის სადროშოს, ქიზიყს, კერძოდ, დაბა ბოდბეს დაუკავშირდა ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს სახელი, რომლის ნეშთიც, გადმოცემით, ახლაც ბოდბის მიწაში განისვენებს. უშუალოდ ქიზიყში მდებარეობდა ქართველ მეფეთა რეზიდენციები, ამ კუთხის ყველა მნიშვნელოვანი ადგილი თუ ისტორიული ძეგლი დაკავშირებულია დავით აღმაშენებლის, თამარისა და ერეკლე მეორის სახელებთან; ამ მხარეში აღიზარდნენ მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების და კულტურის მოღვაწენი, რომელთაც სახელი და დიდება შემატეს ქართველ ხალხს.

მთელი ქართველი ერი დიდი კმაყოფილებით შეხვდა დადგენილებებს იმის თაობაზე, რომ დასავლეთ საქართველოში, — ქუთაისში, ბათუმში გაიხსნა უნივერსიტეტები, ხოლო ახალციხეში და სხვა რაიონების ქალაქებში თბილისის უნივერსიტეტის ფილიალი ან სხვა უმაღლესი სასწავლებლების განყოფილებები. თავისუფლებისათვის მებრძოლ საქართველოს გულს ყოველივე ეს მალამოდ ეცხება.

აღმოსავლეთ საქართველოში კი ვითარება ცოტა სხვაგვარად გამოიყურება. ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ აუცილებელია საქართველოს ყველა კუთხე უმაღლესი სასწავლებლებით ან მათი ფილიალებით მოიფინოს, მაგრამ ამ რეგიონის ეკონომიკურ, კულტურულ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, ხომ არ მომწიფდა საკითხი აღნიშნული კუთხით ამ რეგიონსაც გადავავლოთ თვალი.

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთში მხოლოდ ქ. თელავში არსებობს უმაღლესი ტიპის სასწავლებელი, პედაგოგიური პროფილით, და როგორც ფაქტობრივი მონაცემები მოწმობენ, სრულიად ვერ აკმაყოფილებს იგი კადრების მომზადების გაზრდილ მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, დღეს უკვე მწვავედ დგას საკითხი, რომ კახეთში, მის რომელიმე რეგიონში (სასურველია თელავის პედინსტიტუტისგან მოშორებით) არსებობდეს სხვა უმაღლესი სასწავლებელი. ამიტომ უდიდესი მოკრძალებით ვსვამთ საკითხს კახეთში, კერძოდ ქიზიყში, გაიხსნას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი (ან განყოფილებები), რომელიც მრავალი მწვავე პრობლემის გადაჭრას შეუწყობს ხელს.

კერძოდ, ამ ფილიალში (თუ სასწავლებელში) მომზადდება საქართველოსათვის მაღალკვალიფიციური კადრები; ყოველწლიურად ამ კუთხიდან ასეულობით ახალგაზრდა მიეშურება ქ. თბილისში უმაღლესი განათლების მისაღებად და უმრავლესობა აღარ ბრუნდება უკან, თუ ვერ ირიცხება უმაღლეს სასწავლებელში ან რეპეტიტორის ხელში ვარდება ან სხვა საეჭვო გზას ადგება, ეს კი ხელს უწყობს კადრების დაქსაქსვას და დემოგრაფიული სიტუაციის გამწვავებას. ფილიალის გახსნა ხელს შეუწყობდა ადგილობრივი კადრების ადგილზე დამაგრებას, სულ რომ არა იყოს რა, თბილისი და თბილისის უნივერსიტეტი განიტვირთებოდა ჩარიცხვის მსურველი ასეთი დიდი რაოდენობის აბიტურიენტის (და მათი მშობლების) მოძალეობისაგან. ამ ფილიალშივე ისწავლიდნენ ინგილოელი ქართველებიც და მათ აღარ მოუხდებოდათ თბილისში წასვლა. გარდა ამისა, ფილიალის გახსნას ექნება წმინდა ეკონომიკური მნიშვნელობაც. როგორც ცნობილია, სიღნაღის რაიონში ამ ბოლო წლებში გაშენდა ახალი სოფლები — ერის იმედი, ხორნაბუჯი, შენდება ივრის ტერიტორიაზე ილიაწმინდა, ასათვისებელია სხვა ადგილებიც. ერის იმედში არიან დამკვიდრებული აჭარელთა ოჯახები, რომელთა შვილებს შეეძლებათ განათლება შეიძინონ ახლო მდებარე უმაღლეს სასწავლებელში, გადაწყდება კვალიფიციურ პედაგოგთა დასაქმების საკითხი, დამყარდება ფილიალსა და საშუალო სკოლებს შორის კავშირი, განვითარდება საშეფო მუშაობა,

შესაძლებელია ფილიალი იყოს სახელთვანი მამულიშვილის სოლომონ დოდაშვილის სახელობისა. მასში პრიორიტეტული მიმართულება უნდა ჰქონდეს ჰუმანიტარულ, ფიზიკა-მათემატიკის და საბუნებისმეტყველო დისციპლინებს.

და ბოლოს, სად გაიხსნას ფილიალი (ან სასწავლებელი) და როგორ გადაწყდება შესაბამისი ბაზის საკითხი. პრესაში გამოითქვა მოსაზრება რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის ქ. ლაგოდეხში გახსნის შესახებ. ჩვენი აზრით, თუ გადაწყდება თბილისის უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა, უმჯობესია იგი გაიხსნას უფრო მოხერხებულ ადგილას, რომელიც დააკავშირებს ქიზიყ-ჰერეთის სხვადასხვა კუთხეს, ასეთ ცენტრად კი შესაძლებელია მივიჩნიოთ ქ. სიღნაღი, როგორც ძირძველი ქიზიყის გული და ქალაქ-მუზეუმი. რაც შეეხება ბაზას, მთავრობის, შესაბამისი სამინისტროების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით და რაიონის ადგილობრივი ძალების მონაწილეობით, მისი შექმნაც (თუ გამონახვაც) შესაძლებელია.

ვიმედოვნებთ, რომ უდიდესი თხოვნა, რასაც, ვიმეორებთ, მხარს უჭერენ ქიზიყ-ჰერეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ინტელიგენცია, სიღნაღის რაიონის დემოგრაფიული საზოგადოება და სხვა ორგანიზაციები, არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა, უდაბნოსა შინა". და ხელისუფალთა და საზოგადოების დახმარებით და თანადგომით გადაწყდა ეს საშვილიშვილო საქმე.

**ზურაბ კუტიბაშვილი,**
**თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარტვილი. სამონასტრო კომპლექსში შემავალი ჩიქოვანების (დადიანთა უკანასკნელი გვარეულობის) საუდარი.



დღესასწაულზე.

# გიორგი ჭყონდიდელი —900

6 ოქტომბერს, მარტვილის უძველესმა და უწმინდესმა მიწამ იზეიმა დავით აღმაშენებლის, საქართველოს ვაზირთა უპირველესის გიორგი ჭყონდიდელის მოღვაწეობის 900 წლისთავი. ხწორედ მარტვილის ტაძარში ეწეოდა იგი ცხრა საუკუნის წინათ საგანმანათლებლო მოღვაწეობას, ხოლო მეფე დავით აღმაშენებელს ბავშვობის წლები ჭყონდიდში გაუტარებია.

ჭყონდიდში ჩატარებული ზეიმი სრულიად საქართველოს ზეიმი გახლდათ.

აქ აღიმართება გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის ოცმეტრიანი ქანდაკება, რომლის ავტორია ჯემალ ბუალავა...

გიორგი ჭყონდიდელი ერთობლივი საქართველოს მოღვაწეა, კაცი, ყოველივე სიკეთით დაჯილდოებული, მოწყალე და გამკითხავი... მარტვილი და სრულიად საქართველო სათუთად ინახავს გიორგი ჭყონდიდელის სახელს.

**თამაზ ქიქავას** ფოტო და ტექსტი.



აქ აღიმართება გიორგი ჭყონდიდელის ქანდაკება.



მარტვილის კომპლექსში შემავალი სვეტი — მესვეტე ბერის სენაკით.

# განმარტება

**მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა თ. კოპალეიშვილის საპასუხო წერილი ი. გოცირიძის პუბლიკაციაზე „ღმერთო, დაგვინთე სიბრძნის სანთელი!“ აღნიშნულ წერილში თ. კოპალეიშვილი წერს, რომ ი. გოცირიძემ საოლქო კომისიაში მხარდამჭერთა სიები დროზე არ ჩააბარა, რის გამოც რეგისტრაციაში გატარებაზე უარი ეთქვა და მაშინ მან მოითხოვა, „ჩემს გამო კანონი დაარღვიეთ და როგორც გამონაკლისი რეგისტრაციაში გამატარეთო“.**

**ამ საკითხთან დაკავშირებით რედაქციას წერილობით მომართეს № 21 საარჩევნო ოლქის კომისიის წევრებმა, საინიციატივო ჯგუფის წევრმა გ. გოგსაძემ და თავად ი. გოცირიძემ. დღეს ვაქვეყნებთ მათ განმარტებებს:**

თავს უფლებას ვაძლევთ, ნათელი შევიტანოთ ბატონ თ. კოპალეიშვილის მცდარ ინფორმაციაში. ბატონმა ი. გოცირიძემ მხარდამჭერთა სიები მართლაც დაგვიანებით მოიტანა ოლქში და ამიტომ დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატად რეგისტრაციაში გატარებაზე უარი ეთქვა. მაგრამ ბატონ ირაკლის არ მოუთხოვია კანონის დარღვევა და მისთვის გამონაკლისის დაშვება, პირიქით მან ბრძანა: „მე ვოცნებობ ისეთ საქართველოზე, სადაც პრიორიტეტი ყველა შემთხვევაში კანონს მიენიჭება და დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში უფრო მნიშვნელოვანი ჩემთვის ისაა, რომ თქვენ, ახალგაზრდებმა ასე პრინციპულად დაიცავით კანონის შეუვალობა“.

ეს არის სიმართლე, რაზეც ხელს ვაწერთ № 21 საარჩევნო კომისიის წევრები:

**თამარ დოლბაია,**
**მარინე ხუტაშვილი,**
**დავით პეტრიაშვილი,**
**რამაზ ბარამიძე.**

●

ხაზს ვუსვამ, რომ თ. კოპალეიშვილი ცილს სწამებს ი. გოცირიძეს. მე, როგორც საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, თან ვახლდი იმ დროს ბატონ ირაკლი გოცირიძეს. მართლაც, ი. გოცირიძის ამომრჩეველთა ხელმოწერილი სიები ჩვენ დაგვიანებით ჩავაბარეთ საოლქო კომისიას, მაგრამ კომისიისათვის კანონის დარღვევა მას არ მოუთხოვია, პირიქით: მოისმინა თუ არა კომისიის თავმჯდომარის და წევრების განმარტება, მან მაშინვე აღიარა სიების დაგვიანებით წარდგენის ფაქტი და ხაზგასმით განაცხადა, რომ რადგან ეს, სამწუხაროდ, ასე მოხდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კანონის დარღვევა. ი. გოცირიძის ასეთმა პოზიციამ ფრიად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კომისიის წევრებზე, რომლებსაც თავისი კმაყოფილება არ დაუმალავთ და აღნიშნეს, რომ ი. გოცირიძის ასეთი ობიექტურობა კიდევ უფრო მაღლა სწევს მის ღირსებას და ავტორიტეტს.

ეს არის ფაქტი, რასაც მე შევესწარი და რასაც, მჯერა, დაადასტურებენ საარჩევნო კომისიის წევრები.

**გ. გოგსაძე.**

●

ჩემს ამომრჩეველთა სიების დაგვიანებით წარდგენის მიზეზი გახლდათ შემდეგი ვითარება: მე და საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც ხელმოწერებს აგროვებდა ჩემს მხარდასაჭერად, ეს სიები (ისინი 500-ზე მეტ ხელმოწერას შეიცავს) შეცდომით წარვადგინეთ არა საოლქო კომისიაში, არამედ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენის ვადის უკანასკნელ დღეს. სამუშაო დღის დამთავრების წინ დავუტოვეთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ თ. სიგუას. მას იმ მომენტში არ გაუხსნია საქაღალდე, რადგან მეტად დატვირთული იყო. საქაღალდე გახსნა მეორე დილით და ნახა რა, რომ ეს იყო სიები, დაუყოვნებლივ დამირეკა ტელეფონით და მითხრა, რომ სიები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში კი არა, საოლქო კომისიაში უნდა წარადგინოთო. ჩვენ მაშინვე წავიღეთ ისინი საოლქო საარჩევნო კომისიაში, მაგრამ იქ დაგვიანების გამო უარი გვითხრეს სიების მიღებაზე, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაშიც და საოლქო კომისიაშიც მე ხაზგასმით განვაცხადე, რომ ეს სრულიად სამართლიანი, კანონზე დაფუძნებული უარი იყო.

**ირაკლი გოცირიძე,**
**ჟურნალისტი.**

# ჩვენი ჟურნალის ერთგულო მეგობარო!

**გვჯერა**, რომ 1991 წლისათვის ჯერ თუ არ გამოგიწერია, აუცილებლად გამოიწერ ჟურნალ „**პარტიულ სიტყვას**“, რომელიც უახლოესი ნომრიდან „**საზრისის**“ სახელწოდებით უნდა გამოვიდეს.

დაე, შენთან ერთად ისიც ღონივრად გაებას დიდ ეროვნულ საუვარში, მართალი, პირუთვნელი სიტყვით იბრძოლოს ჩვენი ცხოვრების განახლებისათვის, ხვალინდელი საქართველოს სუვერენული სახელმწიფოებრიობისათვის.

„საზრისი“ შენი ხელშეწყობით ნამდვილი სახალხო ჟურნალი უნდა გახდეს, სადაც ჭეშმარიტი ისტორიული სიმართლე—იქაც ჩვენ!

ვინც ჩვენი ჟურნალის პუბლიკაციებს იცნობთ, კომუნისტებიც და არაკომუნისტებიც; ალბათ ბევრს არ იყოყმანებთ გამოიწეროთ თუ არაო. მით უმეტეს, არც ისე ძვირი ღირს — წელიწადში 7 მანეთი და 20 კაპიკია. 6 თვით — 3 მანეთი და 60 კაპიკი. 3 თვით — 1 მანეთი და 80 კაპიკი.

ჟურნალთან ერთად ჩვენ გვაქვს ბიბლიოთეკა, რომელიც 3 თვეში ერთხელ გამოდის. მისი ფასია წელიწადში 36 კაპიკი. წლეულს იგი მთლიანად დაეთმო „რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონს“, რომელსაც მალე მიიღებთ.

გვენდეთ, არც სამომავლოდ გიმტყუნებთ.

ჩვენი კოლექტივი ყველაფერს ილონებს, რომ პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ საერთაშორისო ცხოვრების არც ერთი კუთხე-კუნჭული არ დაგვრჩეს თვალშეუვლებელი და კალამშეუხებელი.

წინასწარი მადლიერებით.

**ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ („საზრისის“) რედაქცია.**

# განცხადება

ამა წლის 21 ოქტომბერს, დილის 11 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ოფიცერთა შეკრება.

შეკრების ინიციატორია საქართველოს ოფიცერთა კორპუსის საინიციატივო ჯგუფი, რომელიც გთავაზობთ შემდეგ დღის წესრიგს:

— დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში და ქართველ ოფიცერთა როლი და ადგილი.

— საქართველოს ოფიცერთა კორპუსის, როგორც სტრუქტურის შექმნის მნიშვნელობა.

— საქართველოს ოფიცერთა კორპუსის წესდების განხილვა.

— სხვა და სხვა საკითხები.

შეკრებაზე ვიწვევთ:

მოქმედი არმიის ქართველ ოფიცრებს და თადარიგის ოფიცრებს. შეკრებისთვის გთხოვთ თან იქონიოთ პირადობის მოწმობა.

**საქართველოს ოფიცერთა კორპუსის საინიციატივო ჯგუფი.**



**საქართველოს** ჟურნალისტთა კავშირისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით 16 ოქტომბერს თბილისის ჟურნალისტის სახლში მოეწყო შეხვედრა საფრანგეთის ცნობილი საბალეტო დასის ხელმძღვანელთან, ჩვენს თანამემამულესთან, ნოე ჟორდანიას შვილიშვილთან ქალბატონ ეთერ ფალავასთან.

სტუმარმა ილაპარაკა თავისი დასის საქმიანობაზე, საერთოდ, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებზე, მათ დამოკიდებულებაზე საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე რევაზ ამაშუკელი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი აკაკი სიხარულიძე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

**საკუთარი ინფორმაცია**
**თამაზ ქიქავას ფოტო.**

# ალორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.


ჰოლანდიური სავაჭრო ფირმა **კოპეშინ ტრეიტინგი**

იტალიური სავაჭრო ფირმა **კლარიჩი**

იაპონური სავაჭრო ფირმა **პაკკო კოეკი**

ფრანგული სავაჭრო ფირმა **კომეფი**

გერმანული ფირმა **სანტორიუსი**

პოლონური ფირმა **პოლენა**

29 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე **გიწვევენ საქმიან შეხვედრაზე თელავში.**

**შეხვედრის დროს** საგარეო-ეკონომიკური ფირმები

## იურსერვისი, ეკონომსერვისი, ინტერკონტაქტი, ინოვისტავკა

წაიკითხავენ ლექციებს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე და გაგიწევენ პრაქტიკულ დახმარებებს მოლაპარაკებების წარმოებისას.

კომერციული ინფორმაციის ბანკი „დელტა“ უზრუნველყოფს თქვენი წინადადებების მსოფლიოს 5000 ფირმისათვის შეტყობინებას.

## თუკი თქვენ გსურთ

**გახსნათ ერთობლივი საწარმო, შეიძინოთ ან გაცვალოთ პროდუქცია, ტექნოლოგიები, მანქანა-დანადგარები, ჩაატაროთ გაცვლითი ოპერაციები, სათავეში ჩაუდგეთ უცხოეთის ფირმების წარმომადგენლობებს და საფირმო მაღაზიებს, მოემსახუროთ საგარეო-ეკონომიკურ ოპერაციებს.**

...მოკლედ, უშუალო პირდაპირი კონტაქტები დაამყაროთ საზღვარგარეთის ფირმებთან — ნუ გაუშვებთ შანსს მოხვდეთ შეხვედრა-სემინარზე. შეხვედრა-სემინარში მონაწილეობს ბალტიისპირეთის, შუა აზიის, რუსეთის წამყვანი საწარმოებისა და კოოპერატივების ხელმძღვანელები. ამდენად, საშუალება გექნებათ კავშირის საწარმოებთანაც დაამყაროთ საქმიანი კონტაქტები.

სემინარში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა საორგანიზაციო შესატანი 1200 საბჭოთა მანეთის ოდენობით გადაირიცხოს ანგარიშზე № 100461718 სსრკ მრეწვშენბანკის განყოფილება. საქგეოლოგმრეწვბანკი. ქ. თბილისი. ამ თანხაში შედის სასტუმროსა და კვების ღირებულებაც. მსმენელთა რეგისტრაცია დაიწყება 29 ოქტომბერს თელავის სასტუმრო „კახეთში“. შეხვედრის მონაწილეებმა რეგისტრაციის დროს უნდა წარმოადგინონ გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. თანხის გადარიცხვის შესახებ დეპეშით უნდა ეცნობოს ორგკომიტეტის თბილისის ბიუროს: 380008. თბილისი. სააბონენტო ყუთი 105.

სემინარში მონაწილე უცხოური ფირმების სია დაზუსტდება ქართველ მონაწილეთა წინადადებების გათვალისწინებით. გთხოვთ წინადადებებითა და ცნობებისათვის მოგვმართოთ ტელეფონებზე: 98-31-89 (სამუშაო საათებში), 99-56-65 (არასამუშაო საათებში) შეგიძლიათ გვეწვიოთ პირადად: რუსთაველის 23. პირველი სართული. სამეცნიერო ცენტრი „აია“. ამავე მისამართზე შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია მონაწილეთა შესახებ.

**წარმოებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელების, საბინაო მეურნეობების მუშაკების და საცხოვრებელი სახლების მფლობელების საყურადღებოდ!**

ახლოვდება ზამთრის გათბობის სეზონი — ხანძრის მხრივ წელიწადის ყველაზე საშიში პერიოდი.

ამ დროს მეტწილად ხანძარი ჩნდება გაუმართავი გამთბობი ხელსაწყოების გამოყენების და მათი საექსპლუატაციო რეჟიმის დარღვევის, ჭვარტლისაგან გაუწმენდავი საკვამლე მილების, ელექტროგამთბობი ხელსაწყოების და გაუმართავი ელექტროგაყვანილობის ექსპლუატაციის გამო.

ხანძართან დაკავშირებული უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო და საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება გთხოვთ, დროულად განახორციელოთ ყველა აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიება სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების ზამთრის გათბობის სეზონისათვის მოსამზადებლად.

გახსოვდეთ!

თქვენზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო**
**საქართველოს ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოება**
**საქართველოს სარეკლამო საწარმო „ალიონი“.**

## ჰიტ-პარადი პირველად საქართველოში

როგორც როკ-მუსიკის მოყვარულებმა უკვე იციან საქართველოს რადიოს მუსიკალური პროგრამების მთავარმა რედაქციამ დაიწყო გადაცემების ახალი ციკლი რუბრიკით „როკი — ნაშუაღამევს“, რომლის მთავარი მიზანია მსმენელს გააცნოს ქართული „იატაკქვეშა“ როკ-ჯგუფები. ამ გადაცემაში ოცამდე კოლექტივი იყო წარმოდგენილი. დადგა დრო მუსიკის მოყვარულებმა შეაფასონ ისინი. ამიტომ პროგრამა „როკი-ნაშუაღამევს“ ასოციაცია „ალორძინების“ მუსიკალურ ფირმა „კამერტონთან“ ერთად პირველად საქართველოში აწყობს ჰიტ-პარადს, რომელიც ეთერშია 21 ოქტომბერს, ღამის 12 საათიდან.

შემოქმედებითი ჯგუფი გთხოვთ აქტიური მონაწილეობა მიიღოთ ჰიტ-პარადში, ამოირჩიოთ თქვენთვის ყველაზე საუკეთესო სიმღერა, შეავსოთ ბარათი თქვენი ვინაობის და იმ სიმღერის ან ჯგუფის მითითებით რომელიც მოგეწონათ.

**სახ. გვ.** ______________________

**როკ. ჯგუფი** ______________________

**სიმღერის სახელი** ______________________

ხმების შეკრების შედეგად შეივსება 7 საუკეთესო სიმღერის სია. ამოჭრილი ბარათი შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი 71. მ. კოსტავას ქ. № 68 საქართველოს რადიო,, მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქცია, პროგრამა „როკი-ნაშუალამეს (7 ვარსკვლავი)“ ან თბილისი ბუდაპეშტის ქ. № 1 „ალორძინება“ ფირმა „კამერტონი“.

ჰიტ-პარადს გაუძღვებიან პროგრამა „როკი-ნაშუაღამევს“ წამყვანი დარეჯან გულიაშვილი და როკ-ჯგუფი „სახლის“ სოლისტი სერგი გვარჯალაძე.

გელით რადიო-მიმღებთან 21 ოქტომბერს ღამის 12 საათზე. ცნობებისათვის დარეკეთ 36-83-76.

**ვიზების სათარგმნად**

**გთხოვთ, მიმართოთ კოოპერატიულ ფირმა „ზევს“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების გარდა. 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვეწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ქუჩა № 2.**

## ყურადღება!

ამა წლის 21-25 ოქტომბერს ხორავას სახელობის მსახიობის სახლის სცენაზე წარმოდგენებს გამართავს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სოფელ ალიბეგლოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული სახალხო თეატრი. წარმოდგენილი იქნება ორმოქმედებიანი სპექტაკლი „დიალოგი“, რომელიც შედგენილია თეატრის რეპერტუარში არსებული სხვადასხვა პიესების ნაწყვეტებისაგან. დასაწყისი 19 საათზე. იგივე სპექტაკლს დასი წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს კლუბში 26 ოქტომბერს 18 საათზე.

**განცხადება**

შრომითი საქმეების ცენტრთან არსებული საბავშვო ბაგა-ბაღი „წითელქუდა“ (მცირერიცხოვანი ჯგუფით), რომელიც ფუნქციონირებს საკუთარ ბინაზე მარჯანიშვილის ქ. № 38-ში (მეტრო-სადგურ მარჯანიშვილთან) ბავშვებს იღებს 2-დან 6 წლის ასაკამდე.

ბაგა-ბაღში ბავშვებს შეასწავლიან მუსიკას, ხატვას, უცხო ენას, სისტემატურად აჩვენებენ მულტფილმებსა და სხვა საბავშვო ფილმებს. გამაჯანსაღებელი მასაჟისათვის, მოწვეულია ექიმი-მასაჟისტი.

ცნობებისათვის დარეკეთ: ტელ: 66-44-95; 95-42-13.

**საარჩევნო ბლოკი დემოკრატიული საქართველოს განცხადება**

საარჩევნო ბლოკი დემოკრატიული საქართველო ა. წ. 19 ოქტომბერს დილის 11 საათზე ფილარმონიის დიდ დარბაზში აწყობს ბლოკის დეპუტატობის კანდიდატებისა და მათი ნდობით აღჭურვილი პირების თავყრილობას. დასწრება სავალდებულოა.

რეგისტრაცია დაიწყება 19 ოქტომბერს დილის 10 საათზე.

## ყურადღება!

**გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ და სატელევიზიო პროგრამა „ილუზიონში“ რეკლამები შეგიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონზე: 37-58-25; მისამართი: ბუდაპეშტის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე). ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო**


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56; წერილების განყოფილება — 99-80-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზაშვილი კორპუსში, ხოშტარიულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.